პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

წელიწადი მესამე

# კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

№ 17 პარასკევი 25 მაისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 40,000 მან. № 117

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4, მე-3 სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48
ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.000.000 მან. განცხადება 10 კაპ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 3 მ.

Коллекция [illegible]

## დღიური

ინგლისის მთავრობა უკვე შედგენილია; კერზონი დარჩება ალბად საგარეო [illegible] მინისტრად.

ინგლისის [illegible]ტორთა ედინბურგის კონგრესმა რუსეთის ცენტროკავშირ[illegible] [illegible]ვნა დეპეშა, რომელშიაც [illegible] არავითარ შემ[illegible] არ იქნას დარღვეული კავშირი რუსეთსა და ინგლისს შორის.

საფრანგეთის პრესა აღნიშნავს, რომ ლოზანას კონფერენციაზე მდგომარეობა მეტად არეულია.

გერმანიის მარკის კურსის დაცემის გამო, მოსალოდნელია კუნოს მთავრობის გადადგომა.

---

ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო ამით იუწყება, რომ შაბათს, 26 მაისს, წითელ-არმიელთა ცენტრალურ კლუბში (ძველი ქართული კლუბი, სასახლის ქუჩაზე), დანიშნულია

## გაერთიანებული სათათბირო ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოსი

და ყველა სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენელთა (პარტიულის, პროფესიონალურის, სასპორტო, კომუნისტურ ახალგაზრდობისა და სხვათა) და აგრეთვე იმ პირთ ვისაც აინტერესებს და ვინც მცოდნეა ფიზიკური კულტურის საქმის.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე. პრეზიდიუმი კი უნდა შეიკრიბოს სრულს 6 საათზე საღამოთი, დაუგვიანებლად.

ამიერ-კავკასიის აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი და ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ტალიბლი**.

---

**საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი** წინადადებას იძლევა, პარასკევს 25 მაისს ერთიან პარტიულ დღეს დაისვას საკუთარი **ადგილობრივი წარმოების საკითხები**

მდივნის მაგიერ: **რუბენი**.

---

## ჰამბურგის კონგრესი

21 ამა მაისს ჰამბურგში (გერმანია) გაიხსნა 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების კონგრესი. კონგრესი მოწვეული იყო ამ ინტერნაციონალების გაერთიანების საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად ეს საკითხი კარგა ხანია, რაც წამოიჭრა შემთანხმებელ სოციალისტებ შორის, და ნიადაგი გაერთიანებისათვის მომზადებული იყო მრავალი წინასწარი თათბირებით, კონფერენციებით, სიტყვიერი და წერილობითი აზრთა—გაცვლა-გამოცვლით. კიდევ მეტი: საკითხი არსებითად გადაიჭრა ფაქტიურადაც, როცა მოხდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრთის შეერთება. მას შემდეგ, რაც გერმანიის დამოუკიდებელთა პარტია, რომელიც შეადგენდა 2 ნახ. ინტერნაციონალის ძირითად და უმთავრეს ძალას, შეუერთდა შეიდემანელების პარტიას და ამით, მაშასადამე, მეორე ინტერნაციონალსაც. ვენის ინტერნაციონალის არსებობას აზრი დაეკარგა.

ყვითელი ინტერნაციონალების გაერთიანებას „იდეური დასაბუთება" მისცა უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად კ. კაუცკიმ, რა თქმა უნდა. ამ ძალების ერთიანი ფრონტი, სწერდა ის თავის დროზე, საჭიროა კომუნისტებისათვის დასაპირდაპირებლად, რომელთა გავლენა დღითი-დღე იზრდება მუშათა კლასზეო; ჩვენ უნდა დავიცვათ პროლეტარიატი, დასძენდა კაუცკი, იმ ბაცილებისაგან, რომლებითაც სწამლავენ მას კომუნისტებიო.

ამგვარად, მუშათა ერთიანი ფრონტი არა ბურჟუაზიის, არამედ პროლეტარიატის რევოლიუციონური ნაწილის, მისი მებრძოლი ავანგარდის წინააღმდეგ,—აი ნამდვილი აზრი ლონდონის და ჩვენი ინტერნაციონალების შეერთების.

სწორედ რომ ითქვას, არასოდეს არ ყოფილან ისინი გათიშულნი, არც იდეიურად, არც მოქმედებით. ორნახევარი ინტერნაციონალი მხოლოდ უბრალო დამატება იყო მეორე ინტერნაციონალის. ობიექტიურად მის დანიშნულებას შეადგენდა შეპარვით, ფრთხილად და მოხერხებულად გატარებია მუშათა კლასში ბურჟუაზიის და 2 ინტერნაციონალის ტაქტიკა და დავალებანი. ამ როლს ვენის გაერთიანება კეთილსინდისიერად ასრულებდა. ხშირად რევოლიუციონურ სიტყვიერების კორიანტელით ფარავდა თავის ოპორტიუნისტულ და მოღალატურ ბუნებას, მუშათა კლასს აჩვენებდა თავს მის ინტერესების დამცველ ორგანიზაციად და ადუნებდა მის რევოლიუციონურ ენერგიას.

ამ მხრივ მან უკვე ამოსწურა თავისი შესაძლებლობანი, და მუშათა კლასის თვალში წაიშალა მოჩვენებითი განსხვავება 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალებს შორის.

ამიტომ საჭირო შეიქმნა ამ ძალებ შორის არსებული ერთობა მიზნების, მათი განხორციელების საშუალებების ორგანიზაციულ ფორმებშიც ჩამოსხმულიყო.

ეს საქმე კიდეც შეასრულა ჰამბურგის კონგრესმა, რომელმაც დაადგინა „დაშლილად გამოაცხადოს 2 ნახ. ინტერნაციონალი და აღადგინოს მეორე ინტერნაციონალი".

ფრიად გართულებულ საერთაშორისო პირობებში შეიკრიბა ჰამბურგის კონგრესი. რურის ოკუპაცია, კერზონის ულტიმატუმი, საქმეთა გართულება ახლო აღმოსავლეთში მსოფლიო ომის უშუალო საფრთხე, ფაშიზმი, კაპიტალის გაძლიერებული შეტევა,—აი მთავარი მომენტები დღევანდელი ვითარების.

საჭიროა—მუშათა კლასმა გამოიჩინოს მაქსიმალური ენერგია, მოახდინოს ყველა თავისი ძალების მობილიზაცია, შეკრას ყველა თავისი რაზმები, რათა წინაღუდგეს შემომტევ ბურჟუაზიის და აიცდინოს კაცობრიობას 1914 წლის განმეორება, აღიმაღლოს ხმა საბჭოთა რესპუბლიკების დასაცავად და სხ.

სწორედ კომუნისტური ინტერნაციონალი მეთაურობს მუშათა ასეთ რევოლიუციონურ მოძრაობას. და თუ ვინმეს მართლა სურს ბრძოლა ფაშიზმისა და მოსალოდნელ ომის წინააღმდეგ, ბრძოლა მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის, მან აუცილებლად, დღევანდელ კრიტიკულ მომენტში მაინც, ხელი უნდა გაუწოდოს ამ ძალას, მესამე ინტერნაციონალს.

როგორი პოზიცია დაიჭირა ჰამბურგის კონგრესმა კომუნისტურ ინტერნაციონალისადმი?—

ფრიად მტრული განწყობილება. ჰამბურგის ს. დ. ორგანიზაციის წარმომადგენელმა კონგრესისადმი მისასალმებელ სიტყვაში გააკეთა პროვოკაციული გამოსვლები კომუნისტების მიმართ და უწოდა მათ უპასუხისმგებლო ელემენტები. კონგრესზე სიტყვა წარმოსთქვა ვულისმა, რომელმაც გაილაშქრა კომუნისტების წინააღმდეგ და მოუწოდა მას ებრძოლონ მათ არა ნაკლებ, ვიდრე რეაქციონერებს.

გაზ. „ფორვერტს"-ი ჰქმნის პოგრომულ განწყობილებას ჩვენი ამხანაგების მიმართ.

ცნობილი ადლერი აცხადებს, რომ „კომუნისტების მიღება ახალ (?) ინტერნაციონალში შეიძლება, თუ ისინი აღიარებენ დემოკრატიულ პრინციპებს"-ო, ე. ი. თუ ჩვენ ხელს ავიღებთ პროლეტარიატის დიქტატურაზე, საბჭოთა სისტემაზე, რევოლიუციონურ-კლასობრივ ბრძოლაზე და გავხდებით ბურჟუაზიის და მისი „დემოკრატიულ"-პარლამენტარულ წყობილების მომხრენი.

ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია ასეთ ცინიკურ მოთხოვნაზე შეჩერება. ეს ერთხელ კიდევ ზედმეტჯერ მოწმობს, თუ ვისთან გვაქვს საქმე და რანაირი იქნება მათი „ახალი" ინტერნაციონალი. ეს ინტერნაციონალი ჩვენთვის ბევრი ხანია ცნობილია, ესაა აგენტი ბურჟუაზიის და მისი რეჟიმის განმამტკიცებელი, ასეთად დარჩება ის მომავალშიც, სანამ მუშათა კლასი არ დაარღვევს მას და თავის ყვითელ მეთაურების ზურგზე არ შექმნის ერთიან ფრონტს, კომინტერნის დროშის ქვეშ.

მოხუცმა ლედებურმა, ჩამოთვალა რა შემთანხმებელ პარტიების ცოდვები და ღალატი მუშათა კლასის მიმართ, კიდეც აღნიშნა, რომ „ერთიანი ინტერნაციონალის შექმნა კომუნისტების მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია, რადგან მხოლოდ მათ შესძლეს პროლეტარულ ხელისუფლების დამყარება". მაგრამ ასეთი ხელისუფლების დამყარება ხომ არ შეადგენს ყვითელ სოციალისტების ამოცანას, და ამიტომაცაა, რომ მათ არაფერი სურთ საერთო კომუნისტებთან.

აღსანიშნავია, რომ ლედებურის საპასუხოდ გამოვიდა ჩვენთვის კარგად ცნობილი, ყველგან მყოფი მენშევიკი აბრამოვიჩი და გაილაშქრა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

ჩვენ არ ვიცით, ვისი წარმომადგენელია აბრამოვიჩი, ყოველ შემთხვევაში არა რუსეთის პროლეტარიატის, რომელმაც ბევრი ხანია წაართვა ბ. აბრამოვიჩს და მის მზგავსებს ყოველგვარი რწმუნება აბრამოვიჩი და მისი კოლეგები ობიექტიურად შეიძლება იყვნენ მხოლოდ თეთრგვარდიელთა წარმომადგენელნი. აბრამოვიჩის გამოსვლა ჰამბურგის კონგრესზე შეეფერება სწორედ ასეთ „საპატიო" როლს.

როცა საბჭოთა რესპუბლიკებზე ამზადებენ თავდასხმას და ისინი საჭიროებენ ენერგიულ დაცვას საერთაშორისო პროლეტარიატის მხრივ, ასეთ მომენტში გამოსვლა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და მის გარშემო დასავლეთის მუშათა მასსებში მტრულ განწყობილების შექმნის ცდა, უდიდესი დანაშაულობაა რევოლიუციის და პროლეტარიატის წინაშე, დანაშაული, რომლის ჩადენა შეუძლია მხოლოდ პროლეტარულ რევოლიუციის და საბჭოთა ხელისუფლების აშკარა მტერს. მენშევიკების ეამრავ „საგმირო საქმეებთან" ერთად ამასაც დაიხსომებს ჩვენი მუშათა კლასი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ, როგორც მოსალოდნელიც იყო, ჰამბურგის კონგრესი შედგა მოლიპულ გზაზე. მან აშკარად მტრული პოზიცია დაიკავა კომუნისტების და კომუნისტური ინტერნაციონალის წინააღმდეგ, ამითვე მუშათა ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ. ის კვლავ ცდილობს დაქსაქსოს პროლეტარიატის რიგები და ამით გაუადვილოს ბურჟუაზიას თავისი ბატონობის განმტკიცება.

ამასვე ამოწმებს კონგრესის დამოკიდებულება „მიმდინარე მომენტთან". ბაუერი გამოვიდა მოხსენებით საერთაშორისო რეაქციასთან ბრძოლის შესახებ. მან საბოლოო სიტყვაში სთქვა: „მე არ ვიძლევი აჯანყების და საერთაშორისო გაფიცვის წინადადებასაც კი, საჭიროდ მიმაჩნია სოციალისტურ პარტიების მჭიდრო თანამშრომლობა, ურთიერთა ინფორმაცია და სოციალისტურ პარტიების საპარლამენტო გამოსვლების კოორდინაცია".

არც ერთი სიტყვა ბრძოლის წარმოებაზე, არც ერთიან ფრონტზე.

თავის თავად ცხადია, რომ იმ უწყინარი ზომებით, რომლებზე მიგვითითებს ბაუერი, შეუძლებელია ბურჟუაზიის „მოჭკუიანება" ამისთვის საჭიროა უფრო საგრძნობი „არგუმენტები", ერთიანი ფრონტით პროლეტარიატის მედგარი ბრძოლა გათავხედებულ ფაშისტურ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამ ბრძოლისათვის მუშათა კლასს რაზმავს კომუნისტური ინტერნაციონალი. და ამ საქმეს კიდეც განახორციელებს, მიუხედავად შემთანხმებელ სოციალისტების წინააღმდეგობისა.

## ნაციონალური საკითხი აჭარისტანში

(მუშაობა კულტურულ ფრონტზე)

I

ამ წერილში მინდა შევეხო ერთ-ერთ მნიშვნელოვან და მთავარ საკითხს—ნაციონალურს და კულტურულს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ძალიან გამწვავებულ სადაო საკითხათ იდგა აჭარისტანში ნაციონალური საკითხი. გაზეთ „კომუნისტი-"ს მკითხველებს, რომ გავაცნო ამ საკითხის მნიშვნელობა, მე უნდა შევეხო ისტორიას და ბოდიშს ვიხდი, რომ მათი ყურადღებას მივაქცევ წარსულ ამბებს.

როდესაც ძველმა იმპერიალისტურმა ოსმალეთმა ჩაიგდო ხელში აჭარისტანი, აქ მოხდა დიდი საზოგადოებრივი ცვლილება. უდიდესი აქედან იყო აჭარლების გამაჰმადიანება, ამიტომ აჭარისტანის ოკუპაციის თანავე დაიწყო ძლიერი გამაჰმადიანების პოლიტიკა, ამ ხანათ საქართველო არ იყო ნაციონალურათ მთლიანი, არამედ ის იყო ფეოდალურად დანაწილებული. როგორც ოსმალეთში გაბატონებული იყო სულთანი, ფაშა, ბეგი და მოლლა, ისე საქართველოში გაბატონებული იყვნენ: მეფე, თავადი და ეკზარხი და ნაციონალურ მოძრაობას როგორც ოსმალეთში, ისე საქართველოშიც არ ქონდა ადგილი, რადგან აქ არ არსებობდა ბურჟუაზიული კლასი. აჭარისტანის საზოგადოების სარწმუნოებრივ ცვლილებას შემდეგი რეალური შედეგები მოყვა:

ძველი თურქები, რადგანაც მათ უმთავრესათ არ აინტერესებდა ნაციონალური, არამედ სარწმუნოებრივი საკითხი.

აჭარისტანში დარჩა ქართველობა ე. ი. მათი ნაციონალური ენა, ზნე ჩვეულება, აღზრდა-ტრადიცია, და მოისპობილ იქნა ქრისტიანობა და დაარსდა ისლამი. ძველი თურქი აჭარელს უწოდებდა მუსლიმანს და იმავე დროს „გურჯს"; ძველი ქართველები კი, რადგან არ იმყოფებოდნენ ნაციონალური გრძნობების გავლენის ქვეშ, უწოდებდნენ აჭარლებს მუსლიმანს ან თათარს და არა ქართველს, ან გურჯს. აჭარელი კი თავისთავს უწოდებდა არა ქართველს, არამედ მუსლიმანს. ქართველობა მისთვის თითქოს ქრისტიანობას წარმოადგენდა, და ეს ადვილი გასაგებია, რადგანაც ამ ფეოდალურ ხანაში საქართველოში, აჭარაში და ოსმალეთში უმთავრესათ სარწმუნოება იყო ყველაფერი და არა ეროვნება, ამიტომ არის, რომ აჭარისტანის გამაჰმადიანებამ თავისი ეროვნულ ცხოვრებაზე დიდი გავლენა მოახდინა—ეროვნული ენა დასუსტდა ზოგიერთ ადგილებში: ლევანიდში, შავშეთ-ერუშეთში, ქობულიან-ფოცხოვში, ჯავახეთში და ზოგან კი, მაგალითათ აჭარაში, ქობულეთში ცოცხალი დარჩა. ასევე დასუსტდა ან სულ მოისპო ზნე ჩვეულებები, აღზრდა, ტრადიციები და სხვა—ეს არის ერთი პერიოდის რეალური შედეგები და შემდეგ იწყება მეორე პერიოდი, როდესაც იზრდება ნაციონალური გავლენა. და ამ გავლენის ქვეშ რჩება აჭარისტანი.

რუსეთში, საქართველოში და ოსმალეთში თითქმის პარალელურად ხდება ბურჟუაზიული კლასის წარმოშობა. ახალი თურქები ძველი თურქების მიერ აჭარისტანში დამზადებულ მუსულმანური ნიადაგით სარგებლობენ და აწარმოებენ ფანატიკურ საშვალებებით პანთურქისტულ პოლიტიკას. ახალი თურქ ნაციონალისტების პოლიტიკა სრულებით გამსხვავდება ძველი თურქფანატიკოსების პოლიტიკისაგან; ესენი არა მარტო ოსმალების განმტკიცებას ცდილობენ აჭარისტანში, არამედ ეროვნების მოსპობასაც; ამიტომ იყო, რომ ეროვნულ ენის ზნე-ჩვეულებებს საერთოდ დევნიდენ და მის მაგივრად თურქული ენა და ადათი შემოქონდათ,—ერთი სიტყვით ცდილობდენ ეროვნული ენის მოსპობას და მის მაგივრად თურქულის დაარსებას, ასეთი იყო სწავლა განათლების პროგრამა ენვერ ფაშასი, რომელიც გაბატონდა აჭარისტანში და აკრძალა სკოლებში ქართული და რუსული ენის სწავლა ან ასწავლიდენ კვირაში ერთ საათს.

ახალი ქართველი ნაციონალისტებიც ისევე განსხვავდებიან თავიანთი პოლიტიკით აჭარაში ძველ ქართველ ფანატიკოსებისაგან. ძველ ქართველ ქრისტიან ფანატიკოსებს დაავიწყდათ აჭარლები, რადგანაც უკანასკნელნი გამაჰმადიანდენ, დაიკარგენ. ახალმა ქართულ ნაციონალისტებმა კი დაკარგულ თავიანთ ძმებს დაუწყეს ძებნა. ეკზარხი კი ევედრებოდა ღმერთს მათთვის ცოდვების მიტევებას.

ამიტომ მენშევიკების ბატონობის დროს აკრძალული იყო როგორც თურქული, ისე რუსული ენა სკოლებში—ან კვირაში ასწავლიდნენ ერთ საათს. აჭარისტანი გადიქცა ერთის მხრივ ახალი ოსმალეთის მეჩეთის და პან-თურქების, მეორე მხრივ—ახალი საქართველოს ეკლესიის და პან-ქართველების შეტევის ასპარეზათ და ამას ემატებოდა რუს-კოლონიზატორების და ნაციონალისტების პოლიტიკა აჭარისტანში. რუსეთის ეკლესია მხარს უჭერდა საქართველოს ეკლესიის მისიონურ მოქმედებას აჭარისტანში; მღვდელი აბაშიძე, აშკარად ეწეოდა მისიონერობას ხულოში, მაგრამ საერთოდ იმპერიალისტურ სახელმწიფოს პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდა ქართველ ნაციონალისტების და აგრეთვე თურქ ნაციონილისტების პოლიტიკას ე. ი. გაქართველებისა და გათურქების წინააღმდეგ აწარმოებდა გარუსების პოლიტიკას. ამიტომ იყო, რომ, ძველი რუსეთის მთავრობის დროს, აჭარისტანის სკოლებში აკრძალული იყო ქართული და თურქული ენა ან-და კვირაში ერთი საათი შეეძლოთ მეცადინეობა ამ ენებზე. აჭარისტანის ფუხარა ხალხი კი თავის მხრივ იბრძოდა ამ ძალადობის წინააღმდეგ და თვით შეიარაღებულ გამოსვლებსაც კი ქონდა ადგილი.

ამ მოკლე, შორი ან ახლო ისტორიიდან მოყვანილ აქტებიდან მკითხველი გაიგებს, თუ როგორ გამწვავებული იყო ნაციონალური საკითხი აჭარისტანში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებამდე და ამის შემდეგ კი ის იქნა მოგვარებული. არც გაქართველების არც გათურქების და არც გარუსების ნიადაგი არ დარჩა. აჭარელი გლეხი პირველათ ხედავდა კრებებზე, მიტინგებზე, ქართველ, თურქ, რუს კომუნისტებს, რომლებიც სულ სხვანაირათ ლაპარაკობდენ. ადვილი გასაგებია ამიტომ, რომ აჭარისტანის ფუხარა ხალხი ასეთი სიმპატიით და ნდობით ეპყრობა კომუნისტურ პარტიას და საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების სისტემას. აგრეთვე ნათელია, რატომ არის ასეთ მჭიდრო კავშირში აჭარელი ხალხი საბჭოთა საქართველოსთან. და ამის გარდა ისიც თუ რისთვის ფუხარა ხალხმა საბჭოთა ფედერაციის დაარსება ერთხმათ შეითვისა და მოიწონა მაგრამ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ ნაციონალური საკითხი და მასთან უმთავრესად დაკავშირებული კულტურული საკითხი სავსებით არ იყო მოწესრიგებული. დაშვებული იყო დიდი დეფექტები, როგორც კულტურულ ისე საბჭოთა აღმშენებლობის სფეროში.

მე დაწვრილებით არ შევეხები ამ შეცდომების აღნიშვნას და ვიტყვი, რომ საერთო მუშაობაზედ შეცდომების დაშვება შესაძლებელია,—საქმე იმაშია მხოლოდ, რომ დროზე დავინახოთ ეს შეცდომები და შევასწოროთ, ამ გზით შეიძლება გამაგრება და განმტკიცება ჩვენი მუშაობისა და ნაყოფიერი შედეგების მიღწევა.

აჭარლები არ შეადგენენ ცალკე ეროვნებას—ისინი არიან ქართველები, ამიტომ აჭარას, როგორც ცალკე ეროვნებას კულტურა არ აქვს.

მართალია აჭარლები არ არიან ცალკე ეროვნება, მხოლოდ ისინი დიდათ განსხვავდებიან სხვა ქართველებისაგან. ჯერ რომ მუსულმანები არიან, შემდეგ სხვადასხვა ისტორიულ ეკონომიურ მოვლენების და პირობების ქვეშ საკუთარი ზნე-ჩვეულებებით ადათებით და სხვა. ქართულათ ისევე ლაპარაკობენ, როგორც თურქულათ. ზოგიერთი ეროვნულ კულტურული ელემენტები დასუსტებულია ან მოსპობილია, ან მთლად ახალია შემოღებული. ამიტომ, მართალია ცალკე ეროვნებას არ წარმოადგენს, მხოლოდ წარმოადგენს ასე ვთქვათ განსაკუთრებული ქართველ საზოგადოებას და ამიტომ, რომ აჭარისტანის ხელისუფლება, შემდეგ საბჭოთა საქართველოს ცენტრალური მთავრობა, რომელიც აძლევს საერთო დირექტივებს და განაგებს საერთოდ განათლების დ კულტურის საქმეს, ვალდებული იყვნენ ამ განსაკუთრებულ ქართულ საზოგადოების კულტურას განსაკუთრებულის ყურადღებით მოქცეოდენ და ამ მხრივ დიდი შეცდომაა დაშვებული, რომელიც არ უნდა ჩაითვალოს უბრალო შეცდომათ, რადგან ეს ხელს შეუშლის საერთო მუშაობას არა მარტო ამ დარგში, არამედ სხვა დარგებშიდაც. ჯერ აჭარის სკოლებში დავიწყეთ ხმარება იმ წიგნების, რომელიც დამზადებული იყო, შეიძლება, საქართველოს სხვა მხარეებისათვის. საერთოდ საჭირო იყო, რომ ასეთი წიგნებში შეტანილი ყოფილიყო ზოგიერთი შესწორებები ზნე ჩვეულებების ტრადიციების მიხედვით მაგალითად ავიღოთ უბრალო რამე პირველი დედა-ენა, რომელიც ანბანია სწავლისათვის. ჯერ ძველი დედა-ენები ყოვლად დაუშვებელი იყო აჭარისტანში და ახალში საჭიროა უბრალო შესწორებები იყოს შეტანილი. ჯერ აჭარაში კაცის სახელები არაბულია გვარები კი ქართული არის დარჩენილი: საჭირო იყო ამ წიგნებშიც არაბული სახელების გარევა, როგორც ოსმან მემედ და სხვა და არა მარტო: ვანო, სონა და სხვა. მეორე და მესამე დედა-ენაში შეხვდებით ისეთ ადგილებს, რომელიც სრულიად არ შეეფერება აჭარისტანის რეალურ ცხოვრებას მაგალითად: ღამადობა, ტოლუმბაშობა, რასაც აჭარაში ადგილი არ აქვს. საჭირო იყო დამზადებულიყო წიგნები, როგორც ქართულათ ისე თურქულათ აჭარის სკოლებისათვის.

თურქული წიგნების მდგომარეობაც ასეთი იყო. შარშან ნოემბერში ამხ. შალვა ელიავასთან ერთად სოფ. მერისში ვიყავით—აჭარაში; სკოლაში თურქული წიგნები ვნახეთ და ერთ ადგილას ეწერა: „ჩვენ თურქები მივდივართ წითელ ვაშლზე" რას ნიშნავს ეს? რა იცის აჭარელმა ბავშვმა წითელი ვაშლი, მან იცის თავის ბაღში მოსული ვაშლი, და ამ დროს კი „წითელი ვაშლი" ნიშნავს პანთურქულ იდეას. ასეთ შინაარსის არის აჭარაში ქართულ—თურქული წიგნები.

საჭირო იყო აგრეთვე აჭარის სკოლებში თვით მომზადებული აჭარლების ჩაყენება, რადგანაც ისინი უფრო შეეფერებოდნენ ამ საქმეს. და ამის გარდა საჭირო იყო სემინარიის გახსნა, სამასწავლებლო კურსების დაარსება. ერთი სიტყვით საბჭოთა ხელისუფლების დაარსებამდე აჭარელი, თავის შვილს არ გზავნიდა რუს—ქართულ თურქულ ნაციონალისტურ სკოლებში. მიუხედავათ აჭარლების სწავლა—განათლების სურვილისა, ამ დარგში პრაქტიკული მუშაობა გაძნელებული იყო და საერთოდ სხვა დარგებთან ერთად, შეიძლება ითქვას ნაციონალური და კულტურული საკითხები არ იყო მოგვარებული და მოწესრიგებული. ეს რასაკვირველია დიდი ნაკლია.

შემდეგ წერილში მე შევეხები იმას, თუ რა შესწორებები შევიტანეთ ამ შეცდომების გამოსასწორებლათ და როგორ მიმდინარეობს პრაქტიკული ჩვენი მუშაობა კულტურულ დარგში.

თ. **ხიმშიაშვილი**.

## პარტიული სადისკუსიო კლუბი

ამ ბოლო დროს ჩვენშიაც, როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, ძალიან გამრავლდა პოლიტიკური და განსაკუთრებით კი მარქსისტული წრეები, სადაც ჩვენი ახალგაზრდობა (ახალგაზრდობა არა მარტო ხნოვანებით, არამედ გონებრივი განვითარებითაც) მხურვალეთ ეტანება პროლეტარული მოძღვრების შესწავლას.

მაგრამ მარტო ეს შესწავლა ხომ არ კმარა, მარქსიზმის მარტო ცოდნა, ხომ არაა მიზანი ჩვენი. ჩვენ ეს ცოდნა, ეს დაუფასებელი იარაღი, რომელიც გამოგვიჭედა მარქსმა და ენგელსმა უნდა გამოვიყენოთ კომუნისტურ აღმშენებლობისთვის, ამ იარაღის საშვალებით უნდა გავიკვლიოთ, გზა ცხოვრების ლაბირინთში და ამ გვარათ სწორი პასუხი გავსცეთ ყველა კითხვებს, რომლებიც დგება ჩვენს წინაშე.

დღეს ჩვენ ჩაბმული ვართ კომუნისტურ აღმშენებლობაში. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ ვახდენთ სოციალურ გადატრიალებას, გადატრიალებას ცხოვრების—ყველა დარგებში. პროლეტარული რევოლიუციის შედეგათ ჩვენ მივიღეთ სახელმწიფო ხელისუფლება და მაგრათ გვაქვს ჩაჭიდებული ხელი მასში. მაგრამ ეს როდი კმარა. პირიქით ეს პოლიტიკური ხელისუფლება უნდა გამოვიყენოთ ჩვენ გაცილებით უფრო მეტად ღრმა რევოლიუციისათვის, სამეურნეო რევოლიუციისათვის, თუ შეიძლება ასე ითქვას. უნდა შევცვალოთ ძველი ეკონომიური ურთიერთობა ახალით, კაპიტალიზმი კომუნიზმით. მაგრამ ეს ასე ადვილი საქმე როდია. აქეთკენ მიმართული ჩვენი საქმიანობა ხვდება ძალიან ბევრ დაბრკოლებებსა და ზღუდეებს, რომლების გადალახვა აუცილებელი საჭიროა დასახულ მიზნების განხორციელებისათვის.

საქმე იმაშია, რომ ჩვენ, კომუნისტები ვაარსებთ ისეთ წყობილებასა და ურთიერთობას, რომელიც ჯერ არსად არ ყოფილა და მაშასადამე არც არავის უნახავს. ამიტომ მეტად ძნელი და ძალიან საფრთხილოა მისი აგება. ჩვენ ვსდგამთ სხვადასხვა ნაბიჯებს სიბნელით მოცულ სივრცეში, ვახდენთ ათასნაირ მანევრებს სასურველ გამარჯვების მისაღწევათ, მაგრამ ხშირათ ესა თუ ის მანევრი ანუ ნაბიჯი შემცდარი გამოდის და გვიხდება ისევ უკან დახევა. ამგვარათ ამ შეცდომებზე, არა სწორ მანევრებზე ვსწავლობთ შენებას და საერთოდ მაინც წინ მივიწევთ.

ასეთ მოვლენას ყოველ რევოლიუციაში აქვს ადგილი. მაგრამ განსაკუთრებით დიდათ თავს იჩენს ეს პროლეტარულ რევოლიუციაში, ვინაიდან პროლეტარიატს ნაკლებათ ყავს თავისი ერთგული ეკონომისტებისა და საზოგადოთ „სპეც" ინტელიგენტების კადრი, რომლებსაც რამდენიმე მაინც შეეძლოთ ამ მოვლენის შესუსტება. ამიტომ საჭიროა გამოინახოს ისეთი ორგანიზაცია თუ დაწესებულება, რომელიც შესძლებს ამ საერთო ნაკლის რამდენიმე მაინც გამოსწორებას. ასეთად კი შეგვიძლია ჩვენ მივიჩნიოთ პარტიული სადისკუსიო კლუბი, რომელიც უნდა იყოს ლაბორატორია, სადაც ჩვენი ძველი პარტიული ამხანაგები შეუდგებიან იმ რთულ კითხვების წინასწარ გარჩევას, რომლებსაც გვიყენებს ჩვენ ცხოვრება კომუნისტურ საქმიანობაში, და განსაკუთრებით კი ეკონომიურ აღმშენებლობაში. აქ ყოველი კითხვა ასჯერ და ათი ათასჯერ იქნება ყოველ მხრივათ გაშუქებული და გარკვეული და ამ გვარათ მივიღებთ ჩვენ საკითხის და განსაკუთრებით კი სადაო საკითხის **წმინდა** კოლექტიურათ გადაჭრას. ასეთ სადისკუსიო კლუბში ყოველი საკითხი გადაიჭრება ბევრჯერ აწონ-დაწონის შემდეგ არა ხმების მიხედვით, არა უმცირეს-უმრავლესობის მიხედვით, არამედ ნაყოფიერი მსჯელობისა და დაბოლოს საერთო შეთანხმების მიხედვით.

რასაკვირველია აქ, ასეთ კლუბში, ადგილი არ ექნება ნაკლებ მნიშვნელობის კითხვების გარჩევას, ამისათვის ის არ იქნება მოცდენილი. იქ გაირჩევა ჩვენი ძველი და მომზადებული ამხანაგების მიერ ისეთი დიდი და რთული საკითხები, რომლების ასე თუ ისე გადაჭრას საზოგადოთ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვენს ეკონომიკისა და პოლიტიკისათვის, ისე საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობისათვისაც.

გასულ წელს ასეთი კლუბის დაარსების შესახებ, სადაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ჩვენს ძველ ამხანაგებს, იყო ლაპარაკი და თითქმის დღის წესრიგშიც კი იყო დაყენებული მისი გახსნა, მაგრამ შემდეგ რაღაც მიზეზების გამო მის გარშემო ლაპარაკიც კი მიყუჩდა.

საჭიროა ეს ხელახლა იქნეს წამოყენებული და დროიანათ სისრულეში მოყვანილი.

**ქ. კომუნაძე**.

## საჭიროა დიდი სიფრთხილე

სახელმწიფო აპარატების გასაჯანსაღებლად და მათი სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად, ჩვენ ვებრძვით ბიუროკრატიზმს და მექრთამეობას, რომლებსაც—ჩვენი საერთო ჩამორჩენილობის და უკულტურობის გამო—მაგარი ნიადაგი აქვს მოპოვებული ჩვენს სახელმწიფო აპარატებში. მაგრამ არის კიდევ მესამე სენი, რომელსაც ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ, მაგრამ, რომელიც, „არა ნაკლები ყურადღების ღირსია" თავისი უარყოფითი გავლენით. ეს ავადმყოფობა არის **პროტექციონიზმი**, ნათლი-მამობა. ეს სენი მით უფრო მეტათ ყურად-საღებია, მით უფრო მეტათ საშიშია, რომ იგი რატომღაც არ ითვლება ისეთ „სასირცხო", დაუშვებელ დანაშაულათ, როგორც პირველი ორი—„პროტექციის" გაწევა ნაცნობ-მეგობრობით—არა სავსებით საიმედო, ხშირად სრულიად მიუღებელ პიროვნებისათვის—ხშირი მოვლენაა,—ხშირად მიიღებს პატარა „ზაპისკას" ერთი „დიდი" კაცი მეორისაგან: „თუ ძმა ხარ—რამე ადგილი აღმოუჩინე ამას" და სხვა. პირველიც ცდილობს ...და.. შედეგათ გვრჩება ის, რასაც ასე კარგად ახასიათებს ამხ. ლენინი თავის უკანასკნელ წერილებში.

აი ერთი ასეთი, სრულიად შემთხვევითი მაგალითი:

ქ. ქუთაისში არსებობს საგუბერნიო გამასწორებელი სახლი, რომელიც ემსახურება მთელ დასავლეთ საქართველოს. უკანასკნელ დღეებში მოხდა ამ გამასწორებელ სახლის ადმინისტრაციის გაწმენდა; ცენტრიდანაც იყო ამხანაგი ჩამოსული და ადგილობრივი ორგანიზაციებიც ახლო მონაწილეობას ღებულობდნენ ამ გაწმენდაში. პარტიულმა კომიტეტმა გადაგზავნა რამოდენიმე პარტიული ამხანაგი და პატიოსანი უპარტიონიც. ამ დროს ცენტრიდან განკარგულებით ინიშნება უფროსის თანაშემწის ადგილას ადმინისტრატიულ ნაწილში მოქ. მებუკე. ჩვენ ასე წარმოგვიდგენია: როდესაც ცენტრი გზავნის სხვა ადგილზე სამუშაოდ ვინმეს და ადგილობრივ ორგანიზაციებს ამის შესახებ არაფერს ეკითხება—ეს იმას ნიშნავს, უნდა ნიშნავდეს მაინც, რომ ეს პიროვნება არის ზედმიწევნით პატიოსანი, საიმედო, კარგი-მომუშავე და სხვა.

— რას წარმოადგენს მოქ. მებუკე? იგი ხონელი მოქალაქეა და ძვირათ შეხვდებით იქ 10 წლის ბავშვსაც, რომელიც არ იცნობდეს მოქეიფე „ავარა", ქარაფშუტა, არაფერის მკეთებელ ვ. მებუკეს.

ყოფილი ჯარის-კაცები იცნობენ მას—როგორც ნიკოლოზის აფიცერს—რომელიც ხმლით ანაკუწებდა ჯარის-კაცებს—რომ მას სათანადოთ „ჩესტს" არ ულებდნენ; მიკიტნები იცნობენ—როგორც საუკეთესო მათ ხშირ მოქეიფე სტუმარს.

— კომუნისტები იცნობენ—როგორც ერთ გაბოროტებულ მდევნელს კომუნისტებისა და მათი ოჯახებისა—როდესაც იგი კომისრობდა ხონში.

— მოქალაქენი იცნობენ მას კიდევ—როგორც სხვა „კარგი" თვისებებით დაჯილდოებულსაც. და სხვა...

— რასაკვირველია ასეთი პიროვნებები ბევრია—და ლაპარაკი მათზე რა საინტერესოა?—მაგრამ, როდესაც ასეთი პიროვნება ახერხებს და საშუალებას ნახულობს ასეთი საპასუხისმგებლო ადგილზე დაინიშნოს, როდესაც ასეთი ადამიანისათვის გამონაკლისს ახდენენ და სპეციალურად „ზევიდან" ნიშნავენ და ადგილობრივ არავის ეკითხებიან, როდესაც ეს ყოველივე ხდება ამ დაწესებულების გაწმენდის დროს.

— ჩვენ არ შეგვიძლია არ ვიკითხოთ: რაშია საქმე? როგორ ხერხდება ყოველივე ეს? ვინ უნდა აგოს პასუხი?

— „მებუკეების" მზგავსი საქმე ბევრი ხდება. და ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

ჩვენ, რომ შევსძლებდეთ ასეთ ცალ-ცალკე, თუ გინდ ერთი შეხედვით, „უმნიშვნელო საქმეების" გამოაშკარავებას—„მომწყობების" სათანადოთ დასჯას—განსაკუთრებით პარტიული ამხანაგებისა, ვინაიდან „პროტექციის" სენისგან ზოგიერთი პარტ-ამხანაგებიც არ არიან თავისუფალი—ამით ჩვენ შედარებით ადვილათ შევძლებდით ნაყოფიერად დამთავრებას „პროტექციონიზმის" წინააღმდეგ ბრძოლისა.

— კერძოთ „მებუკის" საქმეში—მე მოვითხოვ, რომ, „პროტექტორი" იქნეს აუცილებლივ ნანახი და სათანადოთ დასჯილი.

ყური უნდა აუწიოთ ვილაცას და რაც შეიძლება მწარეთ.

**გ. ბ.**

## საქ. ს. ს. რ. საგანგებო კომისიისაგან

### ინტერპარტიული კომიტეტის სამხედრო შტაბის აღმოჩენის გამო

### განაჩენი

ქვემოდ ჩამოთვლილ პირების შესახებ, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ სამხედრო ცენტრის და ბანდიტიზმის ორგანიზაციის გამო საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის საგანგებო კომისიამ (ჩეკა) დაადგინა შემდეგი:

1) **მაზნიაშვილს გიორგი ივანეს** ძეს, 51 წლის, ყოფილი აზნაური, ყოფილი გენერალი, 1921 წელს კონტრრევოლიუციისათვის მისჯილი ჰქონდა საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ გამასწორებელ სახლში ჯდომა 5 წლით, შემდეგში განთავისუფლებული იყო ამნისტიის გამო. როგორც გამოძიებიდან გამოირკვა, ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე საქართველოს წითელი არმიის დივიზიის უფროსობის დროს ის დაეთანხმა ნაციონალ-დემოკრატების ცეკას ნაციონალ-დემოკრატების სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიღებაზე. კავშირი ჰქონდა ციხიდან გამოსვლის შემდეგ სამხედრო ორგანიზაციასთან. მიესაჯოს მას უმაღლესი სასჯელი, მაგრამ იმ დამსახურების გამო, რომელიც მას მიუძღვის საქართველოს გასაბჭოების დროს, შეეცვალოს უმაღლესი სასჯელი 5 წლის ვადით საქართველოს საზღვრებიდან გადასახლებით.

2) **ჩიქოვანს რევაზ გიორგის ძეს**, 25 წლის, დაამთავრა საკავალერიო სასწავლებელი, ყოფილი თავადი, წითელი არმიის 1 ქართული პოლკის მწყობრის უფროსი, კავშირი ჰქონდა შეიარაღებულ ბანდასთან, რომლის მიზანი იყო ბრძოლა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, **მიესაჯოს 5 წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით**.

3) **ციციანოვს ნიკოლოზ დავითის** ძეს 22 წლის, დაამთავრა კადეტის კორპუსი, ყოფილი თავადი, 1 ქართული პოლკის წითელ-არმიელი. მიესაჯოს **5 წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით**.

4) **ზრამელს ივანე ნიკოლოზის** ძეს 23 წლის, ყოფილი აზნაური, სახალხო გვარდიის გუნდის ცეიხგაუზის ყოფ. გამგე და დუშეთის მაზრის საგურამოს რაიონის მილიციის უფროსის თანაშემწე. შეიარაღებულ ბანდაში მონაწილეობისათვის, რაც გამოიხატა მენშევიკების დავალებით ბანდებში ხალხის გადაგზავნაში—მიესაჯა **5 წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით**.

5) **გვარამაძეს დიმიტრი დავითის** ძეს, 23 წლ. ყოფილი აზნაური, საქართველოს შეერთებული სკოლის კურსანტი, ბანდაში მონაწილეობისათვის მიესაჯოს **5 წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით**.

**ი. ჩიქოვანს, ნ. ციციანოვს, დ. გვარამაძეს და ზრამელს**, საქართველოს საგანგებო კომისიამ შესაძლებლად სცნო შეეცვალოს დახვრეტა ციხით და იზოლიაციით, დანაშაულის გულწრფელად აღიარების დ ბანდებიდან ნებაყოფლობით გამოსვლის გამო.

6) **ლაშხს მიხეილ** იასონის ძეს, 49 წლ., ვაჭარი, დახმარებას უწევდა მენშევიკების პარტიას ბანდიტიზმის წყობაში, რაც გამოიხატა იმაში, რომ თავისი მაღაზია დაუთმო კრებისათვის ოფიცრების ჯგუფს და ამ მაღაზიის საშუალებით, მენშევიკების ცეკას დავალებით, აწოდებდა ბანდებს ტანსაცმელებს და ფულებს—მიესაჯოს **ხუთი წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით**.

ამავე საქმის გამო საქართველოს საგანგებო კომისია ადგენს: ვინაიდან გამოძიებიდან გამოირკვა, რომ ქვემოდ ჩამოთვლილი პირები არ ღებულობდენ მონაწილეობას სამხედრო ცენტრის საქმეში, განთავისუფლებულ იქნენ: 1) **ანთაძე** ვლადიმერ ევსტაფის ძე, 2) **გომართელი** იოსებ იოსების ძე, 3) **ვაჩნაძე** დავით კაპიტონის ძე, 4) **ვაშაკიძე** ტარასი დავითის ძე, 5) **იოხელიანი** ივანე ბესარიონის ძე, 6) **მესხი** კონსტანტინე, 7) **ხუმბათაშვილი** დავით ალექსანდრეს ძე, 8) **ბაბაშვილი** კონსტანტინე, 9) **ბერეჟიანი** იოსებ ივანეს ძე, 10) **ფადავა** ივანე ანტონის ძე და 11) **გედევანიშვილი** იოსებ კონსტანტინეს ძე.

## ვინ არის მართალი?

(ამხ. დ. დანიძის წერილის შესახებ)

გაზ. „კომუნისტის" № 16-ში მოთავსებულია დ. დანიძის საპოლემიკო წერილი.

უნდა მოვახსენო დ. დანიძეს შემდეგი:

მას რომ დაკვირვებით წაეკითხა ჩემი წერილი „Заря Востока"-ში და „მუშაში" და დაკვირვებოდა იმ ციფრებს, რომელიც მე მქონდა მოყვანილი, ცხადია, ასეთ შეცდომას არ დაუშვებდა.

ჩემი ციფრები შეეხებოდა საქართველოს **ქალაქების მოსახლეობას** და არა სრულიად საქართველოს მოსახლეობას.

**ხაზს ვუსვამ: ლაპარაკი იყო მხოლოთ ქალაქების მოსახლეობაზე.** რატომ ვერ გაიგო ეს დ. დანიძემ, არ ვიცი. ცნობები დამყარებული იყო 1917 წლის აღწერის შედეგებზე. ეს ცნობები მოთავსებულია აგრეთვე საქ. ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს „მოამბეში" № 1 (იხ. „საქ. მოსახლეობა" გ. ფერაძე).

ტყუილა ჰგონია დ. დანიძეს, რომ ქართველები მე მასზე ნაკლებ მიყვარს. სიყვარული სხვაა და ფაქტი სხვა. თვითმპყრობელობის დროს რომ ქართველები საქართველოს ქალაქში—თბილისში ნაკლები იყო, შედარებით სხვა ერებთან საერთოდ, რაც შედეგი იყო არსებულ პოლიტიკურ პირობების, განა ამას მტკიცება უნდა? მაგრამ, შეიცვალა თუ არა წყეული პოლიტიკური პირობები, შეიცვალა ეროვნული შემადგენლობაც.

და დღეს ქართველები უკვე არ შეადგენენ თბილისში უმცირესობას, როგორც ეს იყო წინეთ.

ამას ვამბობდი მე ჩემს წერილში. ამას ვამბობ ეხლაც.

მაგრამ დ. დანიძემ ჩემი ნათქვამი უკუღმა გაიგო. საჭირო კი იყო მისი წაღმა გაგება.

ა. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რადიო-დეპეშები

## რუსეთი და ინგლისი

**განხეთქილების წინააღმდეგ.**

**მოსკოვი.** 23 მაისი. ინგლისის კოოპერატორების ედინბურგის კონგრესმა გაუგზავნა ცენტროკავშირის თავმჯდომარეს ამხ. ხინჩუკს მისი მიმართვის საპასუხოდ დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია: „ედინბურგის კოოპერატიულმა კონგრესმა ხერა ტომასის და ალენ ბეის სიტყვების შემდეგ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ითვალისწინებს რა რუსეთის და ინგლისს შორის ეკონომიური ურთიერთობის შეწყვეტს და აგრეთვე რუსეთ-ინგლისის ურთიერთობის კრიტიკული მდგომარეობის გამო მშვიდობიანობის დარღვევის საფრთხეს, კონგრესი მოუწოდებს ბრიტანეთის მთავრობას ყოველივე ძალღონე იხმაროს იმისათვის, რათა მოლაპარაკების გზით გააუმჯობესოს ურთიერთობა რუსეთთან და ამრიგად, დაიცვას მშვიდობიანობა ევროპაში. რეზოლიუცია გადაეცა დეპეშით კერზონს.

**ჩვენი ნოტის განხილვა.**

**ლონდონი.** 24 მაისი. ლონდონის პოლიტიკურ წრეების საერთო აზრით, ინგლისის კაბინეტი მალე შეუდგება საბჭოთა რუსეთის საპასუხო ნოტის განხილვას.

მაგრამ უნიონისტებმა ხელი აიღეს ამ განზრახვაზე, რადგანაც მუშათა პარტიამ განაცხადა: თუ კერზონს გაიყვანთ პრემიერად, მაშინ გადაჭრილ ზომებს მივმართავთ და პალატის დათხოვნის საკითხსაც კი წამოვაყენებთო.

**კერზონი მზათაა.**

**ბერლინი** 24 მაისი. ლონდონიდან იუწყებიან, რომ კერზონი მზადაა ისევ გარეშე საქმეთა მინისტრათ დარჩეს.

## ინგლისის მთავრობის კრიზისის გარშემო

**ბალდვინის დეპეშა პუანკარეს**

**პარიზი** 24 მაისი ინგლისის ახალმა პრემიერმა დეპეშით მიმართა პუანკარეს. დეპეშაში ბალდვინი გამოსთქვამს იმედს, რომ მეგობრული დამოკიდებულება ინგლისსა და საფრანგეთს შორის ძველებურად ურყევი იქნება. პუანკარემ მადლობით უპასუხა ბალდვინს და დაარწმუნა, რომ საფრანგეთის მთავრობას გულწრფელად სურს მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება ინგლისთან.

**გარდინგი ბალდვინის შესახებ**

**პარიზი** 24 მაისი. ამერიკის პრეზიდენტი გარდინგი მეტად კმაყოფილი დარჩა ბალდვინის ინგლისის პრემიერათ დანიშვნით. ამერიკის წრეებში დარწმუნებული არიან, რომ ბალდვინის დანიშვნა ხელს შეუწყობს ინგლისის ამერიკისადმი ვალების საკითხის მოგვარებას.

**ბალდვინი ინგლისის [illegible] წამოაყენებს**

**ბერლინი** 24 მაისი. გერმანიის პრესის აზრით, ბალდვინის დანიშვნა გამარჯვებაა სიტებისა აგრარიებზე. ეს დანიშვნა მოასწავებს ევროპაში ეკონომიური მშვიდობიანობის აღდგენისაო, ამბობს გერმანული პრესა, თუმცა არავითარი იმედი არ აქვს რომ ინგლისის პოლიტიკა უფრო ხელსაყრელად შეიცვალოს გერმანიისათვის.

**გაფ ხდნენ მუშათა პარტიის წინაშე.**

**ბერლინი** 24 მაისი. ინგლისის პრემიერად ბალდვინის დანიშვნის წინა დღეს უნიონისტებს აზრათ ჰქონდათ პრემიერად გაეყვანათ გარეშე საქმეთა მინისტრი კერზონი, ბალდვინი კი დარჩებოდა მხოლოდ სახელმწიფო ხაზინის კანცლერად.

## ინგლისის მთავრობის შემადგენლობა

**ლონდონი.** 24 მაისი. ინგლისის ახალ კაბინეტში შევიდნენ: ლორდი დებრი—სამხედრო მინისტრი, სამუელ ხერი—საჰაერო ფლოტის მინისტრი, ბრიჯმენი—შინაგან საქმეთა მინისტრი.

**პარიზი** 24 მაისი. ლონდონში გავრცელებულ ხმების მიხედვით, ახალი კაბინეტში შევა აგრეთვე რობერტ სესილი.

**ბერლინი.** 24 მაისი. ლონდონის გაზეთების ცნობით, ლორდი ჩემბერლენი და რობერტ ხორნი ლონდონში დაბრუნდნენ, რადგანაც მათ პორტფელები შესთავაზეს ბალდვინის ახალ კაბინეტში.

## გერმანია და ანტანტა

**ყველაფერი რიგზე არ არის.**

**ბერლინი.** 21 მაისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ცნობამ, რომ ბელგიის მთავრობას სურს უპასუხოს გერმანიას მხოლოდ მოკავშირეებს შორის სრული თანხმობის შემდეგ და აგრეთვე ბელგიის ახალმა სარეპარაციო გეგმამ, დიდი აღელვება გამოიწვია საფრანგეთის წრეებში. თუმცა პუანკარე შეუძლებლად თვლის ასეთ ნაბიჯს, რადგან საფრანგეთსა და ბელგიას შორის სრული თანხმობა სუფევს, მაგრამ ეს მაინც არ ამშვიდებს საზოგადოებრივ აზრს, რომელიც ფიქრობს, რომ ბელგიისა და საფრანგეთს შორის დიდი უთანხმოება არის.

## რურის ოლქის ოკუპაცია

**დირექტორების ახალი დატუსაღება.**

**ბერლინი.** 23 მაისი. ესსენიდან მიღებულ ცნობებით, საოკუპაციო ხელისუფლებმა მოახერხეს კრუპის წარმოებების დანარჩენ დირექტორების დატუსაღება, რომელნიც თავის დროზე გერმანიის ოკუპაციიდან თავისუფალ ადგილებში იმალებოდენ. იტყობინებიან აგრეთვე „ნახშირის, რკინის და ფოლადის შეერთებულ საზოგადოების“ მთავარი დირექტორის დატუსაღების შესახებ.

**გაფიცვების ტალღა.**

**პარიზი.** 23 მაისი. დორტმუნდში პოლიციამ მოახერხა ხელი შეეშალა გაფიცულთათვის მოეხსნათ მაღარო „კაიზერშტულ“-იდან შტრეიხბრეხერები. მაღარო პოლიციამ დაიჭირა. მუშები ძველებურად აღელვებულნი არიან; დღეს ელიან საერთო გაფიცვის გამოცხადებას.

**პარიზი.** 23 მაისი. დიუსელდორფიდან მიღებულ ცნობებით, რკინისგზელების კრებამ 100 ხმით 62 წინააღმდეგ გადასწყვიტა გააგრძელოს გაფიცვა.

**პრემიერების შეხვედრა.**

**პარიზი.** 23 მაისი. მომავალ კვირაში პარიზში მოხდება ტეუნისის, ჟასპარის და პუანკარეს ახალი შეხვედრა.

## ლოზანას კონფერენცია

**მდგომარეობა არევ-დარეულია.**

**პარიზი:** 22 მაისი. საფრანგეთის პრესის აზრით მდგომარეობა ლოზანას კონფერენციაზე ძლიერ არევდარეულია.

**„ერ ნუველი“ უკმაყოფილოა.**

**პარიზი.** 22 მაისი. „ერ ნუველი“ ილაშქრებს ოსმალეთის და საფრანგეთის დიპლომატიის წინააღმდეგ, რომელიც, გაზეთის აზრით, წარმოადგენს სათამაშოს ინგლისის და რუსეთის ხელში, რომელთაც უერთდება აგრეთვე იაპონია და ამერიკა.

## შემთანხმებელთა კონგრესზე

**„პრავდის“ წერილი**

**მოსკოვი.** 23 მაისი. „პრავდა“ მოწინავე წერილში, რომელიც ეხება 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების ლიდერების გამბურგის კონგრესს, სწერს: **„დარბაზი მორთული იყო ბურჟუაზიული სახელმწიფოების ეროვნული დროშებით. რუსეთის „ეროვნული დროშის“ სახით მოხჩანდა თვითმპყრობელობის სამფეროვანი დროშა.** კონგრესის „შინაარსი“ სავსებით შეეფერებოდა ამ „გარეგნობას“:

ველსის შესავალი სიტყვა წარმოადგენდა ცოფმორეულ ცილისწამებას კომუნისტებზე.

მენშევიკმა აბრამოვიჩმა იმ დროს, როდესაც კერზონი თავის რევოლვერს უმიზნებს საბჭოთა რესპუბლიკის შუბლს, საჭიროდ სცნო გამოსულიყო გააფთრებით საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

პოზიცია, რომელიც უკვე დაიკავა „გაერთიანებულმა“ კონგრესმა, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების აშკარა დაშლის, ვინაიდან, ეხლა, როდესაც ყოველივე პირობები იმას გვიკარნახებს, რომ გავაერთიანოთ მუშათა კლასის ძალები ფაშიზმის საწინააღმდეგო ბრძოლაში, ბრძოლაში საბჭოთა რუსეთისათვის, მენშევიზმის ლიდერები აშკარად დგებიან სამფეროვანი დროშის ქვეშ. მაგრამ მათი დღეები დათვლილია. მათი დამარცხების საშუალებით მოხდება პროლეტარიატის ნამდვილი გაერთიანება.

**პროტესტი სიტყვებით.**

**გამბურგი.** 22 მაისი. დღეს დაიწყო გამბურგის კონგრესის საქმიანი სხდომები. პრეზიდიუმში არჩეული არიან გენდერსონი და აბრამოვიჩი. სხდომა გახსნა გენდერსონმა, რომელმაც პროტესტი განაცხადა ინგლისის ულტიმატუმის გამო საბჭოთა მთავრობის რეჟიმიო, სთქვა გენდერსონმა, გასაკიცხავია, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ კერზონმა არ გაწყვიტა კავშირი იტალიასთან, სადაც ბატონობს მუსოლინი და უნგრეთთან, სადაც თარეშობს ხორტი.

გენდერსონის შემდეგ გამოვიდა აბრამოვიჩი, რომელმაც განაცხადა: „ჩვენ ვებრძვით საბჭოთა მთავრობას, მაგრამ უარს ვამბობთ ინგლისის მხარის დაჭერაზე, რომელიც კვლავ ცდილობს რუსეთს ბლოკადის რკალი შემოარტყას“.

ყრილობამ ერთხმად მიიღო საპროტესტო რეზოლიუციები.

**მაღალი სიტყვები**

მოხსენებით მსოფლიო რეაქციის შეტევის შესახებ გამოვიდა ოტტო ბაუერი, რომელმაც აღნიშნა, რომ არის რამდენიმე წყარო, საიდანაც მოსალოდნელია ახალი ომები, ერთ ასეთ წყაროს შეადგენს რუსეთის საკითხი. კაპიტალისტური სახელმწიფოები არ ამბობენ უარს რუსეთზე ახალ თავდასხმების მოწყობაზე. სამხედრო საფრთხის მეორე წყაროს წარმოადგენს გერმანიის საკითხი. საფრანგეთის იმპერიალიზმი მფარველობს გერმანიის კონტრ-რევოლიუციას, რომელთა გაძლიერება უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ზავისა და დემოკრატიულ სახელმწიფოებისათვის. შემდეგი არის იტალია, სადაც ბატონობს მოძალადეების პატარა ჯგუფი, შემდეგ უნგრეთი, რუმინეთი და ავსტრია, სადაც რეაქცია ძლიერდება ნაციათა ლიგის დახმარებით. ფაშიზმის დამარცხება, სთქვა ბაუერმა, შეიძლება არა დემოკრატიული ლოზუნგებით, არამედ ძალით.

მაგრამ საყოველთაო განცვიფრება გამოიწვია ბაუერის უკანასკნელმა სიტყვებმა: „მე არ ვიძლევი წინადადებას აჯანყების ან საყოველთაო გაფიცვის შესახებ, მე საჭიროდ მიმაჩნია სოციალისტური პარტიების თანამშრომლობა, მათი საპარლამენტო გამოსვლების და ძალების კოორდინაცია“.

ბაუერმა სრული სიჩუმით აუხვია გვერდი ერთიანი ფრონტის საკითხს და ამხ. ვოროვსკის მოკვლას. მთელი სიტყვის განმავლობაში ბაუერს ერთხელაც არ უხმარია სიტყვა „კომუნისტი“.

## ახლო აღმოსავლეთში

**ინგლისის ფლოტი თავს იყრის დარდანელთან.**

**რომი. 23 მაისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით ინგლისის 5 განმანადგურებელს ბრძანება მიეცა მალტიდან დარდანელისაკენ გავიდეს. განმანადგურებლებთან ერთად გავა კრეისერი „აირონ დიუკ“. ინგლისის თითქმის მთელი ხმელთა-შუა ზღვის ესკადრა თავს იყრის დარდანელთან. ფლოტის კონცენტრაცია გამოიწვია ოსმალეთ-საბერძნეთის კონფლიქტის გართულებამ.**

**უკმაყოფილო არიან ახალი კონსტიტუციით.**

**ანგორა.** 23 მაისი ეგვიპტის დელეგაციამ გამოაქვეყნა პროკლამაცია, რომელშიაც აკრიტიკებს ეგვიპტის ახალ კონსტიტუციას და აღნიშნავს, რომ ძირითადი საკითხი—სუდანის შესახებ, კონსტიტუციას არ გადაუჭრია.

**ვერ მოეხწრებიან.**

**ანგორა.** 23 მაისი. სირიის გაზეთების ცნობით, ომანში ჩავიდა კავკასიელი კონტრ-რევოლიუციონერი ახმედ ხანი თავისი ჯგუფით. გაზეთები უწოდებენ მათ „კავკასიის დიდ ემირებს“, რომელთაც სურთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამხობა.

**„პალესტინის მეფე“.**

**ანგორა.** 23 მაისი. პალესტინის გაზეთების ცნობით, ინგლისის მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს იორდანის მხარის ემირთან აბდულთან მისი პალესტინის კაროლათ დანიშვნის შესახებ.

**ოსმალეთ-საბერძნეთის მოლაპარაკება.**

**ლონდონი.** 24 მაისი. „დეილი მეილის“ კორესპონდენტი ლოზანიდან იუწყება, რომ ვენიზელოსმა წინადადება მისცა ოსმალეთს უარი განაცხადონ სამხედრო ანაზღაურებაზე, რის ნაცვლად მათ მიეცემა კარაგაჩი, სადგურით და რკინის გზის ხაზით. ისმეტ-ფაშა თანაგრძნობით შეხვდა ამ წინადადებას. ოსმალეთის დელეგაციის წევრები ფიქრობენ, რომ ისმეტ-ფაშა ამ წინადადების შესახებ აცნობებს ანგორას იქიდან ინსტრუქციების მისაღებათ.

## მშრომელთა სადარაჯოზე

**მშრომელები მზად არიან წინააღმდეგობისათვის.**

**მოსკოვი.** 21 მაისი. კომინტერნის აღმასკომმა მიმართა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომს, რ. კ. პ. ცეკას და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს დეკლარაციით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ამხ. ვოროვსკის მოკვლა, და ან ბრიტანეთის აგრესიული იმპერიალიზმის დამქაშის კერზონის თავხედური, პროვოკაციური ნოტა არ არის შემთხვევითი მოვლენა. მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის ინსპირატორებს, ალბად, თავი საკმაოდ ძლიერად მოაქვთ, რათა დაიწყონ სისხლის მდვრელი შეტევა მუშათა კლასზე. მომავალი დაგვანახვებს იმას, თუ როგორ ცდებიან ისინი. ყოველივე ცდას იმპერიალისტური ომის გამოწვევისათვის სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევენ ყველა ქვეყნის მშრომლები, რაც ხელს შეუწყობს ერთიანი მუშათა ფრონტის შექმნას, რომელშიაც კომინტერნი ხედავს მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის ბერკეტს.

## სხვადასხვა ამბები

### გერმანია

**კუნოს კაბინეტი საფრთხეშია.**

**ლონდონი.** 24 მაისი. გერმანიის მარკის კურსის კატასტროფიული დაცემა ძლიერ აშინებს გერმანიის პოლიტიკურ წრეებს, რადგან ეს ავტორიტეტს უკარგავს კუნოს კაბინეტს.

**გილზენკირხენში.**

**პარიზი.** 24 მაისი. შეტაკების დროს პოლიციასა და მუშებს შორის მოკლულია 5 კაცი, დაიჭრა 56.

### იტალია.

**რომი.** 24 მაისი. ფაშისტური პარტიის წმენდის გამო პარტიიდან გარიცხეს კაპიტანი პადოვანი, რომელიც ნეოპოლიტანელ ფაშისტების ბელადია. პადოვანისთან ერთად გარიცხეს სხვა ფაშისტებიც. პადოვანის გამორიცხვამ ფაშისტურ წრეებში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ფაშისტების აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო მთელი რიგი ზომები უდისციპლინობასთან საბრძოლველათ. ყველა ფაშისტებს ეცნობა, რომ დისციპლინისათვის არ დამორჩილება გამოიწვევს სასტიკ სასჯელს. ფაშისტების აღმასკომი მოუწოდებს ყველა წევრებს უფრო მტკიცედ შეკავშირდენ და მოემზადონ „ახალი ბრძოლებისათვის“.

**ელაქუცებიან.**

**პარიზი.** 24 მაისი. რომიდან იუწყებიან, რომ პოპულისტების პრესა აცხადებს, რომ მხარს დაუჭერს მუსოლინის მთავრობას. პოპულისტებს იმედი აქვთ, რომ ამით უზრუნველყოფენ თავისათვის უმრავლესობას პარლამენტში.

### საფრანგეთი

**გელეინის და პერრის სიმშილობა.**

**პარიზი.** 21 მაისი. კომუნისტების გელეინის და პერრის სიმშილობა უკვე მეათე დღეა გრძელდება. პერრი გადაიყვანეს საავადმყოფოში. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გართულებულია.

**მუშათა კონგრესი.**

**პარიზი** 22 მაისი. ახლო მომავალში გაიხსნება 3 კონგრესი, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ საფრანგეთის ჩრდილოეთის დეპარტამენტის ფეიქრების, მემაღაროების და მელითონეების წარმომადგენლები.

### პორტუგალია.

**საყოველთაო გაფიცვა.**

**პარიზი.** 22 მაისი. ბარსელონაში გამოცხადებულია ტრანსპორტის და ნავსადგურის მუშების საყოველთაო გაფიცვა.

### ჩინეთი.

**იმპერიალისტების მადა.**

**პეკინი.** 20 მაისი. უცხოელ იმპერიალისტებს სურთ ბანდიტების მიერ რამდენიმე უცხოელის მოკვლა გამოიყენონ ჩინეთის ერის დასამონავებლად. მემორანდუმი, რომელიც დიპლომატიურმა კორპუსმა წარუდგინა ჩინეთის მთავრობას, ისეთ მოთხოვნილებებს უყენებს უკანასკნელს, რომ საეჭვოა მან მათი დაკმაყოფილება შესძლოს. ესეთია მაგალითად უცხოელებისათვის ჩინეთში ექსტერიტორიალური უფლების მინიჭება, რაც კაპიტალისტებს და იმპერიალისტებს საშვალებას მისცემს ითარეშონ ჩინეთში ისე, როგორც საკუთარ კოლონიაში.

**ჩინეთს მონათ ხდიან.**

**ჩიტა.** 20 მაისი. ამერიკის ელჩმა ჩინეთში განაცხადა, რომ შესაძლებელია ჩინეთზე უცხოეთის სახელმწიფოების ოპეკის დანიშვნა. ამერიკა მზად არის იცნოს კანტონის მთავრობა ჩინეთის ცენტრალურ მთავრობათ.

### ბელგია.

**მოწოდება საყოველთაო გაფიცვისაკენ.**

**პარიზი.** 22 მაისი. ბელგიის რკინის-გზელების გაფიცვა გრძელდება. ბელგიის კომპარტიამ მოწოდებით მიმართა ყველა რკინის-გზელებს. მოწოდებაში ნათქვამია, რომ რკინისგზელების საყოველთაო გაფიცვა ერთად ერთი გზაა გამარჯვებისათვის.

## წითელ რესპუბლიკებში

### რუსეთი.

**თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა**

**კრასნოიარსკი.** 23 მაისი. პინსკში გაიხსნა თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა. ეს ქარხანა გამართა კოოპერაციამ და ამზადებს სასოფლო მეურნეობის იარაღებს.

**მშრომელთა უნივერსიტეტი**

**სარატოვი.** 23 მაისი. სარატოვის უნივერსიტეტში ირიცხება სულ 485 სტუდენტი, რომელთაგანაც უმრავლესობა გლეხობაა—65 პროც.—წევრები რუსეთის კომუნისტური პარტიისა და კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირისა.

**ამხ. კალინინი როსტოვში**

**დონის-როსტოვი.** 23 მაისი როსტოვში გაიმართა უდიდესი მიტინგი, პროფესიონალურ კავშირებისა, წითელ-არმიელებისა და სტუდენტობისა, რომელზედაც ამხ. კალინინმა ვრცელი მოხსენება გააკეთა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

**შეღავათი მოუსავლიან კუთხეებს**

**ეკატერინბურგი.** 23 მაისი. ურალში შემუშავებულია გეგმა, რომლითაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საქმეში შეღავათს მისცემენ იმ მეკომურებს, რომელთაც შარშან მოსავალი მოუცდათ. მოუსავლიან კუთხეებში გადასახადი 25 პროცენტით შემცირდებათ.

**პატიმართა ამნისტია**

**ვლადივოსტოკი.** 23 მაისი. ამხ. კალინინის განკარგულებით, ვლადივოსტოკის ციხიდან განთავისუფლდა 1,136 ტუსაღი.

**პროფესიონალურ კავშირთა კონფერენციის ჯამი.**

**ხარკოვი.** 22 მაისი. ხარკოვში დასრულდა სრულიად უკრაინის მესამე კონფერენცია. პროფესიონალურ კავშირთა უმაღლეს ცენტრალურ ორგანიზაციის წარმომადგენელმა საბოლოვო სიტყვაში ჯამი გაუკეთა კონფერენციის მუშაობას და აღნიშნა პროფესიონალური მოძრაობის ორგანიზაციული და ეკონომიური მიღწევანი უკრაინაში.

## წითელი არმიის ამოცანები

**მოსკოვი.** 23 მაისი. ამხ. ტროცკი „პრავდაში“ ეხება წითელი არმიის მნიშვნელობას ს. ს. რ. კავშირის ეროვნებისათვის და სწერს: შესაძლებელია, რომ ჩვენი სამხედრო ბიუჯეტი მომავალ წლებში გადიდდეს. არმიის მიმდინარე აღმშენებლობისა და განაწილების გეგმა იმ შემთხვევაში, თუ ომი დაიწყო, უნდა შეთანხმებულ იქნეს სამხედრო მრეწველობის განაწილებასთან. ეს უკანასკნელი კი საერთო სახელმწიფოებრივ მრეწველობის მთლიანი გეგმის ნაწილი უნდა იყვეს.

ჩვენი ზრუნვის პირველი საგანი აგიტაცია უნდა იყვეს. სამოქალაქო აგიტაცია სამხედრო აგიტაციის რეზერვათ უნდა გახდეს. აშკარაა, რომ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის დაცვა დამოკიდებულია სახელმწიფო მრეწველობის გამტკიცებასა და განვითარებაზე. სამხედრო აღმშენებლობამ მეტი ანგარიში უნდა გაუწიოს, ვიდრე ეს აქამდე იყო, იმას, რომ ის ქვეყანა, რომლის დასაცავათაც არის მოწვეული წითელი არმია, არის ეროვნულ რესპუბლიკების კავშირი. ეროვნულ რესპუბლიკების ხალხთა მასებისა და წითელ არმიის შორის რომ განცალკევება დამყარდეს, მაშინ თავდაცვა შეუძლებელი იქნება.

საჭიროა ეხლავე შეუდგეთ არმიის ეროვნულ ნაწილების შესაქმნელად საჭირო პირობების მომზადებას. უნდა დავიწყოთ სამხედრო სასწავლებლების სწორი ქსელის დაარსებით, რომელნიც უნდა ეგუებოდენ ადგილობრივ ეროვნულ პირობებს და უნდა შექმნან მომავალი სავსებით მომზადებული ეროვნული ჯარის ნაწილები. ეს მუშაობა უნდა ვატარდეს ეროვნულ რესპუბლიკებთან მჭიდრო კავშირის დაჭერით.

პარალელურად ამასთან ჩვენ უნდა აღვზარდოთ ეხლანდელი წითელი არმია, უნდა შევიტანოთ მასში შეგნება იმისა, რომ ის არის ეროვნულ ავტონომიურ რესპუბლიკების კავშირის შეიარაღებული ძალა. საჭიროა სისტემატიურად, მაგრად და დაუღალავათ, და სადაც კი საჭირო იქნება დაუზოგველადაც კი, იმ ეროვნული ცრუმორწმუნოების აღმოფხვრა, რომელიც შოვინიზმისა და დიდმპყრობელობის მემკვიდრეობას წარმოადგენს.

საჭიროა, რომ წითელი არმიის ნაწილებმა და პირველ ყოვლისა მისმა პოლიტიკურმა და საკომანდო შემადგენლობამ იცოდენ ხასიათი, თავისებურობა და ისტორია იმ ეროვნების, სადაც ისინი არიან განაწილებული. წითელი არმია სკოლათ უნდა გახდეს ეროვნულ საკითხში და დღითი დღე პრაქტიკის საშუალებით უნდა ასწავლოს სხვა და სხვა ეროვნების მშრომელ ხალხს თუ შეერთებული ძალებით როგორ უნდა ააშენონ სოციალიზმის შენობა.

ჩვენი შესაძლებელი მტრები ჩვენზე უფრო ძლიერი არიან ტეხნიკით. მართალია მანქანას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, საბოლოოდ მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა ადამიანს ეძლევა, რომელნიც აშენებს ამ მანქანას და განაგებს მას. აქ სრული და საბოლოო გამარჯვება ჩვენ მხარეზეა. ჩვენ შეუდექით მუშაობას წითელი არმიის ნაწილების ტერიტორიალურ მილიციის მდგომარეობაზე გადასაყვანად. ორი თუ სამი წლის შემდეგ ჩვენ სამილიციო გამოცდილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა ქვეყნის დაცვისათვის. ვერც ერ**თი ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფო ვერ გაბედავს ჩვენზე თავდასხმას**, რადგან გაბატონებული კლასები ამით შექმნიან თავის წინააღმდეგ მთელ არმიას. უფრო ძნელი იქნება ბურჟუაზიისათვის ასეთ ნაბიჯის გადადგმა რამდენიმე წლის შემდეგ, რადგან კლასიურ წინააღმდეგობათა გაღრმავება ბურჟუაზიულ ქვეყნებში თავის რიგით მიმდინარეობს.

ჩვენ კი უფრო ძლიერი ვხდებით. აი რატომ გამარჯვების იმედით ვხვდებით ჩვენ ხვალინდელ დღეს.

## ამიერ კავკასიის ფედერაციაში

### სომხეთი

**წითელი კომანდირები.**

**ერევანი.** 23 მაისი. წითელ კომანდირთა პირველი გამოშვების გამო მოსალოცი დეპეშებია მიღებული ამხ. მიასნიკოვისა, კუზნეცოვისა და ეგოროვისაგან, რომლებშიაც ახალგაზრდა წითელ კომანდირებს უსურვებენ წარმატებით მუშაობას.

ახლად კურს დამთავრებულმა უფროსთა შემადგენლობამ მისალმების დეპეშა გაუგზავნა სომხეთის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ამბარცუმიანს, რომელშიაც ახალგაზრდა წითელი კომანდირები უცხადებენ, რომ ისინი საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე დაძახილზე მზად არიან თავი გასწირონ, ღირსებით ატარებენ მათთვის მინიჭებულ წოდებას წითელი კომანდირისას და უანგაროთ შეასრულებენ თავის მოვალეობას.

მცირეოდენი დარღვევა მუშათა და გლეხთა მყუდრო ცხოვრებისა, მზად ჰყოფს წითელ-არმიას და მის უფროსთა შემადგენლობას, გაფოლადებულის მკერდით აღიმართონ რევოლიუციის მონაპოვართა დასაცველად.

**წითელი ჯვრის დახმარება.**

**ერევანი.** 23 მაისი. წითელ ჯვრის საზოგადოებამ არზრუმში გაუგზავნა ხინა და გოგირდი, მალიარიისა და ქავანას წინააღმდეგ საბრძოლველად.

---

## რუსეთის სოციალ-დემოკრატიიდან კომუნისტურ ინტერნაციონალისაკენ*)

(რ. კ. პ 25 წლის იუბილეს გამო)

პარიზის კომუნამდი გეგემონია მუშათა მოძრაობაში ეკუთვნოდა საფრანგეთს; 1871 წლიდან მსოფლიო ომამდე—გერმანიას; ამ ჟამად ის ეკუთვნის რუსეთს.

რევოლიუციონური ბრძოლის ძველი „ფრანგული მეთოდი“ იყო იაკობინიზმის და ბლანკიზმის მეთოდი. ის ხასიათდებოდა უკიდურესათ რევოლიუციონური პარტიის, მისი მოძრაობის ცენტრალიზაციისაკენ მისწრაფების შეურიგებლობით ხელისუფლებისათვის ბრძოლის დროს ძალადობის მეთოდებთან და ხელისუფლების დაპყრობის დროს წინააღმდეგობის დიქტატორულათ ჩახშობასთან. ეს იყო კლასიკური რევოლიუციონური ტაქტიკა. მაგრამ რამდენათაც მას იყენებდა პროლეტარული პარტია, ამ ტაქტიკას მნიშვნელოვანი ნაკლი ჰქონდა: საფრანგეთის რევოლიუციების დროს პროლეტარიატი ჯერ კიდევ გათქვეფილი იყო წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიაში; მისი მასები დაქსაქსული იყო; ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ შედუღებულნი და შეკავშირებული კლასობრივ პროფესიონალურ და პოლიტიკური ორგანიზაციით; ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ გაჟღენთილი წითელი კლასობრივი შეგნებით; მათ კიდევ არ ჰქონდათ გავლილი მარქსისტული თეორიული და პრაქტიკული პარლამენტარული შკოლა, რის გამო თავის აჯანყების დროს ისინი სტიქიურად ან ბრმად მიჰყვებოდენ ბელადებს და არ ჰქონდათ ნათლად გათვალისწინებული არც სხვა და სხვა პარტიების და ბურჟუაზიული საზოგადოების კლასების ბუნება და არც მისი სახელმწიფო წყობილების რთული მექანიკა მოკლეთ რომ ვსთქვათ, საფრანგეთის რევოლიუციების ეპოქის პროლეტარიატს მთელი თავისი მასით ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეთვისებული ის პროლეტარული კულტურა, ის შეგნება და ორგანიზაციულობა, რომლებიც აუცილებლად საჭიროა იმისათვის, რომ პროლეტარიატმა შესძლოს ამაღლდეს გაბატონებული კლასის როლის სიმაღლემდი და რომელთა გარეშე ის თავისი ხელით სხვისთვის ამტვრევს კაკალს.

ამ ნაკლის შევსებას ცდილობდა და, როგორც ჩვენ ვფიქრობდით, შეავსო გერმანიის სოციალ-დემოკრატიის „გერმანულმა მეთოდმა“, გერმანიის სოციალ-დემოკრატია კი ხელმძღვანელობდა მეორე ინტერნაციონალს. მაგრამ ის, რაც გერმანიის სოციალ-დემოკრატიის დამაარსებელთა იდეით მტკიცე საფუძველი უნდა გამხდარიყო ძველი „ფრანგული მეთოდისთვის“, ობიექტიური ისტორიული პირობების ნებასურვილით გადაიქცა უკანასკნელის ცუდ სუროგატათ. ათეული წლების განმავლობაში ერთი გამარჯვებიდან მეორე გამარჯვების მოპოების, თავისი ორგანიზაციების გაფართოების და თავისი პრესის გამრავლების პროცესში, გერმანიის სოციალ დემოკრატია და 2 მე ინტერნაციონალის სხვა პარტიები არ მიახლოვებულან საბოლოო მიზანთან, რადგან მათი გამარჯვება მათი ოპორტუნისტობის გამო ბურჟუაზიული სახელმწიფოს ძალათ დასახოს ბერკეტის მაგივრად გადაიქცა ბორკილებათ, რომლითაც პროლეტარიატი მიჯაჭვული იყო ამ სახელმწიფოსთან. მარქსიზმი, რომელსაც ეს პარტიები აღიარებენ სიტყვით, საქმის დროს გადაიქცა მეტად ვულგარულ დემოკრატიზმათ და სოციალ-პატრიოტიზმათ, რაც სავსებით ნათელი გახდა, როცა იფეთქა მსოფლიო ომმა.

მაგრამ მეორე ინტერნაციონალის ტაქტიკის პარლამენტარულ და კულტურულ-განმანათლებელ ცდებს არ ჩაუვლია ამაოთ ისე, როგორც არ ჩაუვლია ამაოთ საფრანგეთის რევოლიუციების ეპოქის პროლეტარულ აჯანყების ცდებს. კაცობრიობის ისტორიის დასაწყისიდან არც ერთ კლასს არ დაუსვამს თავის წინაშე ასეთი დიდი და ამავე დროს ასეთი ძნელი ამოცანა, როგორიც პროლეტარიატმა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ის მიდის გამარჯვებისაკენ დამარცხების გაკვეთილების შესწავლის საშუალებით. და ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო მეორე ინტერნაციონალის ტაქტიკის საბოლოოდ გამოცდა მსოფლიო ომის დროს, რომ რუსეთში პირველი რევოლიუციის ეპოქის დროს დაიწყო ჩამოყალიბება ახალმა რევოლიუციონურმა ტაქტიკამ — რუსულმა ანუ ბოლშევიკურმა, რომელიც საუცხოვოდ ათანხმებს გერმანულ მეთოდს ფრანგულ მეთოდთან, პირველის მეორესთვის დამორჩილებით და რომელმაც, და ბოლოს, პროლეტარიატს საშვალება მისცა საკმაოთ ძლიერათ შეერყია კაპიტალისტური სამყარო.

ბოლშევიკური ტაქტიკა დიდი ხანია, რაც აღარ არის მარტო ადგილობრივი, ნაციონალური ტაქტიკა. ის შეითვისა მთელმა მესამე ინტერნაციონალმა. ის აღიარებულია ყველგან, სადაც მუშები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებენ თავის განთავისუფლებისათვის და ამიტომ ყველა ქვეყნის კომუნისტებმა უნდა იცოდენ, რომ ის გამოიჭედა რუსეთის რევოლიუციების ცეცხლში, მათ ყურადღებით უნდა შეისწავლონ ამ რევოლიუციების ისტორია ისე, როგორც ჩვენ, რუსი მარქსისტები, ყურადღებით ვსწავლობდით საფრანგეთის რევოლიუციების და გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ისტორიას.

რ. კ. პ. ახლა დღესასწაულობს თავის ოცდა ხუთი წლის იუბილეს, მას საფუძველი ჩაეყარა რ. ს.-დ. მ. პ. პირველ ყრილობაზე 1898 წელს, უფრო მეტი საფუძვლით რ. კ. პ. შეეძლო მომავალ წელს ედღესასწაულა არსებობის 40 წელი, ვინაიდან რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას საფუძველი ჩაუყარეს გ. ვ. პლეხანოვმა და პ. ბ. აქსელროდმა. ჯერ კიდევ 1884 წელს საზღვარ-გარეთ პირველი რუსული სოციალ-დემოკრატიული წრის—„შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ მოწყობით. უკვე ამ ჯგუფმა მოგვცა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიული ამოცანების ის ფორმულიროვკა, რომლითაც განსაზღვრული იყო მისი საქმიანობა რუსეთის მთელი პირველი რევოლიუციის ეპოქის განმავლობაში.

ეს ფორმულიროვკა ღაღადებდა: რუსეთის რევოლიუცია იქნება ბურჟუაზიული, მაგრამ გეგემონია მასში უნდა ეკუთვნოდეს მუშათა კლასის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

ჩვენთვის ახლა ნათელია, რომ პლეხანოვისა და აქსელროდის მიერ აღნიშნული ისტორიული ამოცანა კოჭლობდა შინაგანი წინააღმდეგობით, რადგან პროლეტარიატის პარტიას არ შეუძლია უხელმძღვანელოს რევოლიუციას და მიიყვანოს ის გამარჯვებამდი, თუ არ შეეცადა ბურჟუაზიული წყობილების ჩარჩოებიდან გამოსვლა. მიუხედავათ ამისა იმ დროისათვის ამოცანა სწორად იყო წამოყენებული, რადგან მისი წამოყენება წარსულ საუკუნის დამლევს რუსეთის შინაური და საერთაშორისო მდგომარეობის ობიექტიური წინააღმდეგობის ნათელი გამოკრთომა იყო. როცა პლეხანოვი პირველათ გამოვიდა „ნაროდნიკობის“ თავისი ცნობილი კრიტიკით, სამრეწველო კაპიტალიზმი მხოლოდ პირველ ნაბიჯს დგამდა დიდი გამარჯვებების გზაზე რუსეთის მეტად ფრიად ჩამორჩენილობის პირობებში, ქვეყანაში, სადაც უმრავლესობას შეადგენდა გლეხობა, რომელიც 1861 წლის რეფორმის შემდეგ გაღატაკდა სოფელში ფულის მეურნეობის შეჭრის წყალობით და რომელიც ჩარჩების საკმაო წრეებს ქმნიდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა არ შესწევდა ძალა მიწად-მოქმედება მოეწყო კაპიტალისტურ ნიადაგზე, რადგან სოფლათ საკმაოთ ძლიერი იყო ბატონ-ყმობის ნაშთები, რომელთაგან უმთავრესს შეადგენდა თვითმპყრობელობა. ამ რიგად მეფის თვითმპყრობელობის დამხობა რუსეთს და კერძოთ რუსეთის სოფელს უშლიდა კაპიტალისტური განვითარების ფართე ასპარეზს. ეს ნიშნავდა, რომ რუსეთი იდგა ბურჟუაზიული რევოლიუციის წინაშე, მაგრამ ამ ბურჟუაზიული რევოლიუციის მთავარ მამოძრავებელ ძალათ რუსეთში შინაურ და საერთაშორისო პირობების გამო უნდა ყოფილიყო მხოლოდ პროლეტარიატი. რუსეთის კაპიტალისტური ბურჟუაზია წაქეზებული თვითმპყრობელობის დიდმპყრობელური პოლიტიკით და შეშინებული ჩვენში პროლეტარიატის ეკონომიური ბრძოლის ფართედ განვითარებით, თავის პოლიტიკურ მისწრაფებებით პრუსიის კონსტიტუციის ფარგლებს არ სცილდებოდა. დემოკრატიული ინტელიგენციით მდიდარ რუსეთს არ ჰყავდა ეკონომიურად ძლიერი ქალაქის ბურჟუაზიული დემოკრატია, და რომც ყოლოდა, ის ვერ ითამაშებდა იმ რევოლიუციონურ როლს, რომელიც მან ოდესღაც ითამაშა დასავლეთში. და ბოლოს, რუსეთის ბნელი გლეხობა თავისი ბუნტარული ტრადიციებით ჯერ კიდევ გაჟღენთილი იყო მეფის ფეტიშიზმით და არ შეეძლო შეექმნა ბაზა დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიისათვის. აქედან გამომდინარეობდა პროლეტარიატის ჰეგემონიის აუცილებლობა რუსეთის რევოლიუციაში.

ამრიგად თვით ცხოვრებამ წამოაყენა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინაშე ისეთი ამოცანა, რომელიც წინააღმდეგობას ფარავდა თავის წიაღში, რაც, თუმცა 1890 წელს, არ იყო ნათელი, რადგან იმ დროს რუსეთის უახლოესი რევოლიუცია რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატებს ეხატებოდათ მეტად მცირე ფარგლებში. მაშინ ჯერ კიდევ არავინ არ ლაპარაკობდა რესპუბლიკაზეც კი; მაშინ ფიქრობდენ მხოლოდ რუსეთისათვის „დემოკრატიული კონსტიტუციის“ მოპოებაზე. 1890 წლ. რევოლიუციის განვითარების ასე ზომიერათ წარმოდგენის დროს არ იყო საბუთი გვეფიქრა, რომ რევოლიუციის პროცესში ჩვენში წარმოიშობა მწვავე კონფლიქტები პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. ამის და მიხედვით პლეხანოვსა და აქსელროდის იმ დროს იმედი ქონდათ, რომ ლიბერალური და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ინტელიგენცია ყოველ მხრივ დაუჭერენ მხარს რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიის ბრძოლას და სიამოვნებით დაემორჩილებიან მის რევოლიუციონურ ხელმძღვანელობას თუ კი ჩვენი სოციალ-დემოკრატია ნამდვილათ შესძლებს ხელთ აიღოს „საერთო ნაციონალური განმათავისუფლებელი მოძრაობის“ ინიციატივა.

სურათი სრულიად შეიცვალა, როცა მეოცე საუკუნის დასაწყისში იფეთქა სამრეწველო კრიზისმა, რომელმაც დაარღვია ევროპაში მრავალი წლის ეკონომიური წონასწორობა და ერთბაშათ შექმნა რუსეთში რევოლიუციონური პირობები. ახლა კი უკვე ჩქარა გამოირკვა თუ რამდენად მტკიცედ არიან დაკავშირებული რუსეთში ახლათ წარმოშობილი ბურჟუაზიული ლიბერალიზმის და ბურჟუაზიული რადიკალიზმის (ს. რ.) ფორმაციები დასავლეთ ევროპის დრომოჭმულ ბურჟუაზიის იდეოლოგიასთან და თუ რამდენათ ძნელია სოციალ-დემოკრატიისათვის რევოლიუციონური მოძრაობის ხელმძღვანელობა პირველ ნაბიჯების გადადგმისთანავე ბურჟუაზიულ პარტიებთან სასტიკი ბრძოლის გარეშე. ამან გამოამჟღავნა იმ ამოცანის შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც წამოაყენა ჩვენმა პარტიამ არსებობის დაწყებიდანვე და ამან ჩქარა გამოიწვია მისი გაყოფა ორ ფრაქციათ—მენშევიკებათ და ბოლშევიკებათ.

მენშევიკები, გამოდიოდენ რა თავის მსჯელობის დროს იმისაგან, რომ რუსეთის რევოლიუცია იქნება ბურჟუაზიული, ყოველნაირად ცდილობდენ აეცილებიათ ისეთი მდგომარეობა, როცა ჩვენი პარტია იძულებული იქნებოდა ხელში აეღო ძალაუფლება, რადგან შიშობდენ, რომ ეს შებღალავს სოციალიზმის საქმეს. ისინი ამტკიცებდენ, რომ მთელი რევოლიუციონური პერიოდის განმავლობაში სოციალ-დემოკრატია უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ უკიდურესი მემარცხენე ოპოზიციის როლით; ამიტომ ისინი ვერასოდეს ვერ ბედავდენ ბურჟუაზიასთან გადამჭრელი ბრძოლის დაწყებას და თავისი ტაქტიკით ისინი მხარს უჭერდენ ხან ლიბერალებს და ხან გლეხობას. ამიტომ ისინი მუდამ ცდილობდენ გადმოღეროთ პარლამენტარიზმისა და ორგანიული მშენებლობის „გერმანული მეთოდი“, და თუ მას უხდებოდა მოქმედება „ფრანგულათ“, მაშინ მუდამ იხევდებოდა უკან და ჩერდებოდა შუა გზაზე; დაბოლოს, ამიტომ დემოკრატიზმი მათთვის გადაიქცა ფეტიშად, რადგან, რასაკვირველია, ეს ყველაზე უკეთესი წყობილებაა პროლეტარიატის იმ პირობით, როცა ხელისუფლებას სათავეში უდგას არა ის, არამედ ბურჟუაზია.

წინააღმდეგ, ბოლშევიკები არ უარყოფდენ რა, რომ ჩვენი რევოლიუცია იქნება ბურჟუაზიული, პირველ ყოვლისა ხელმძღვანელობდენ იმით, რომ სოც.-დემოკრატიამ უნდა იკისროს მისი ჰეგემონის როლი და უნდა მიიყვანოს ის ბოლომდი, სრულ და საბოლოო გამარჯვებამდი. ბოლშევიკების ამ გამოსავალმა წერტილმა, უკვე მათი იდეურად ჩამოყალიბების დასაწყისიდან, 1901 წელს „ისკრას“ ჯგუფის დაარსებიდანვე დააყენა ისინი საფრანგეთის იაკობინიზმის გზაზე; ისინი თანდათანობით შეეჩვივნენ შეეთანხმებიათ ეს ფრანგული იაკობინიზმი „გერმანულ მეთოდთან“, რომელსაც ისინი თვლიდნენ მეორე მნიშვნელობის, დამხმარე მეთოდათ. მიუხედავათ ამისა ბოლშევიკების იაკობინიზმი არ იყო მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთის დიდი რევოლიუციონერების ტაქტიკისათვის უბრალო წაბაძვა. მას ღრმა ფესვები ქონდა რუსეთში. ის ნაკარნახევი იყო რუსეთის თანამედროვე პოლიტიკური პირობებით და იკვებებოდა რუსეთის ძველი ტრადიციებით. როგორც კი 1901 წელს გამონათა რუსეთის რევოლიუციის განთიადმა, ჩვენ რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიას ყოველმხრივ შემოუტიეს და განდევნეს ის მისი პოზიციებიდან ლიბერალებმა და ესერებმა, რომლებიც არა თუ არ დათანხმდენ ებრძოლათ თვითმპყრობელობასთან მისი მეთაურობით, არამედ გამოხატავდენ რა დასავლეთ-ევროპის ბურჟუაზიულ დემოკრატიის იმ დროის სულიერ განწყობილებას და გამოდიოდენ რა ბერნშტეინისებურ, გაყალბებულ მარქსიზმის ნიღაბის ქვეშ, დაეძლიათ ჩვენი პროლეტარიატის იდეური იარაღი, და ცდილობდენ თავისი გავლენის ქვეშ მოექციათ ის და რევოლიუციონური ინტელიგენცია, ამან აიძულა „ისკრა“-ს ძველი მიმდევრები (მომავალი ბოლშევიკები) დაეცათ ბუკი და ნაღარა, რომ სოციალიზმი საფრთხეშია და გამოეცხადებიათ შეურიგებელი ომი თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიის სხვადასხვა სახეებისათვის, ამან აიძულა ისინი გამოეცხადებიათ ომი, რომელსაც მიზნათ ქონდა რუსეთის პროლეტარიატის პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაცვა, მისი დაცვა ბურჟუაზიული გავლენისაგან, მისი ჰეგემონიის შენარჩუნება რევოლიუციაში და მისი მომზადება თვითმპყრობელობასთან და მის აშკარა თუ ფარულ მოკავშირეებთან შეურიგებელ და ულმობელ ბრძოლისათვის.

ამ ბრძოლის მეთაური ჩვენში, რომელიც თავისი გარეგანი ფორმით ბევრათ წააგავდა ძველ ბრძოლას მონტანიარებსა და ჟირონდისტებს შორის, თავიდანვე იყო ლენინი, რომელსაც იაკობინურ ბელადის რო-

---

*) ჩვენ ვათავსებთ მენშევიზმის ყოფილი ბელადის, დღეს კი კომპარტიის წევრის, ამხ. ა. მარტინოვის საინტერესო წერილს, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „Коммунистический Интернационал“-ის უკანასკნელ №-ში. რედ.

# საბავშვო დღესასწაული

## ქუჩებში

გუშინ დილით, ტფილისის ქუჩები აახმაურა სადღესასწაულოდ და საზეიმოდ გამოსულმა ჩვენმა ახალმა თაობამ. ყველა შრომის სკოლის, საბავშო სახლის და ბაღების ბავშვები განურჩევლად ეროვნებისა მწყობრად თავიანთ მასწავლებლების და ხელმძღვანელების მეთაურობით იღებდენ მონაწილეობას ბავშთა დღესასწაულში და პროცესიაში. ყველგან გაისმოდა სიმღერები, გალობა. ცალკე რაიონის ბავშვების პროცესიას წინ უძღოდა მუსიკა. ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ქონდა. პლაკატებზე ენერგიული და იმედიანი წარწერები იპყრობდა მაყურებელის ყურადღებას. ქუჩებში ბავშვებით სავსე მორთული ავტომობილები, წითელი დროშებით და პლაკატებით ამშვენებდენ ბავშვთა პროცესიას.

აი, წითელ პლაკატს ამშვენებს წარწერა: „ჩვენ თავისუფალ ხალხის შვილები ვართ“; იქა სწერია; „ჩვენ ახალ სამყაროს ავაშენებთ“ ან და „გაუმარჯოს სინათლეს“, და სხვა მრავალი.

ამაყი და ენერგიული სიარული წითელ დროშებით ხელში მოწმობდენ იმას, რომ ისინი მომავალში ღირსეულნი მემკვიდრენი იქნებიან მშრომელთა რესპუბლიკისა.

## მიტინგი

მიტინგზე, რომელიც გაიმართა თავისუფლების მოედანზე, ახალგაზრდა ორატორები მარჯვედ და ხალისიანად მოუწოდებდენ თავიანთ ამხანაგებს სინათლისაკენ, ცოდნის შეძენისაკენ და კოლექტივიზმის პრინციპების შეთვისებისაკენ. „ამხანაგებო, ამბობს—ერთი 11 წლის ბავშვი“, დადგა დრო, როდისაც ჩვენც უნდა გამოვიჩინოთ ინიციატივა, თვითმოქმედება. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ დღევანდელ დღესასწაულის დაკანონება, რათა ყოველწლიურად გამოვდიოდეთ ქუჩაში სადემონსტრაციოდ. პირობები და არსებული ხელისუფლება ხელსგვიწყობს, საჭიროა ჩვენი ამოქმედება“. ილაპარაკეს ყველა სკოლების ბავშთა წარმომადგენლებმა.

ბავშვების სიტყვებს გულმოდგინედ ისმენდა გარეშე საზოგადოებაც. მიტინგს ტრიბუნაზე ნახავდით განათლების კომისარიატის ყველა პასუხისმგებელ მუშაკებს.

საღამოს ბავშვებს ახალი მხიარულება უცდიდა: წარმოდგენები, კონცერტი, კინემატოგრაფი, ლიტერატურული საღამოები და სხვ..

# პარტიული ცხოვრება

### ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის კომუჯრედის № 39 ცხოვრებიდან

მიმდინარე წლის 18 მაისს შესდგა აღნიშნულ კომუჯრედის სხდომა. დღის წესრიგში იდგა საკითხი, კერზონის ნოტის და საბჭოთა რუსეთის პასუხის შესახებ. მოხსენებელმა ამხ. ცომაიამ სხარტათ დაახასიათა გაკადნიერებული ევროპის რეაქციის დიპლომატიური თავდასხმა საბჭოთა რუსეთზე და ამ უკანასკნელის ღირსეული პასუხი.

მოხსენების შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ინგლისის მემორანდუმის და რუსეთის პასუხის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის კომუჯრედი აღნიშნავს, რომ ევროპის რეაქციის გაძლიერებასთან ერთად, ინგლისის ბურჟუაზია იღებს თავის თავზე რუსეთის პროლეტარული მთავრობაზე თავდასხმის ინიციატივას, მიუხედავათ იმისა, რომ ამ მთავრობას მთელი დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი და აღმოსავლეთის დამონებული ერები ღრმა სიყვარულით და აღფრთოვანებული იმედით უცქერიან. ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ ინგლისის ბურჟუაზია ვერ გაბედავს საბჭოთა ფედერაციასთან ომს, ვინაიდან ინგლისის პროლეტარიატი ამას წინ აღუდგება. მიუხედავათ ამისა, კომპარტიამ ფართე აგიტაცია უნდა გასწიოს მასსაში, რათა მშრომელი ხალხი მზად იყოს ყოველ შემთხვევისათვის თავის სოციალისტურ სამშობლოს დასაცავად.

### პერევისის თემის კომუჯრედებში

პერევისის თემში (ჭიათურის რაიონი) შედის ხუთი სოფელი; თვითეულ სოფელში არსებობს კომუჯრედები, სადაც ყოველ კვირაში ერთჯერ ხდება სისტემატიური კრებები. გარდა ამ კრებებისა ყოველ კვირას ხდება გაერთიანებული კრება ყველა უჯრედებისა, რომელზედაც სისტემატიურათ გვესწრება რაიპარტკომის წარმომადგენელი ამხ. ფ. ლაბაძე. ეს კრება სწყვეტს ადგილობრივი ხასიათის საკითხებს, რომელიც შეეხება მთელ თემს. დაარსებულია ყველა უჯრედებში პოლიტიკურ უცოდინართა სალიკვიდაციო წრე; რაც შეეხება წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო წრეს, ეს არ არსებობს, ვინაიდან წერა-კითხვა თითქმის ყველამ იცის. ამ იაჩეიკის წევრთა დადებით მხარეთ უნდა ჩაითვალოს მათი ძლიერი ლტოლვა კულტურისა და განათლებისაკენ. ამ მხრივ საკმაო ნაბიჯიცაა გადადგმული. უჯრედებს გამოწერილი აქვთ გაზეთები, მაგრამ ამითაც არ კმარობენ. ჩვენს თემში არსებობდა წიგნთსაცავ-სამკითხველო ძველიდან, რომელიც გამგის ჯამაგირის და გაზეთების უქონლობის გამო დაკეტილი იყო დღემდე. ამას დიდი ყურადღება მიაქცია პერევისის უჯრედმა და 13 მაისის სხდომაზე გადასწყვიტა მისი კვლავ ამუშავება. ამ მიზნით უჯრედმა გამოიწერა თავის ხარჯით ჯერჯერობით სამი ცალი გაზეთი „კომუნისტი“, „მუშა“ და „მიწის მუშა“. ეხლა გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს გრანდიოზული სალამო სამკითხველოს სასარგებლოთ, ხოლო მერე კი უნდათ მიმართონ ქ. ჭიათურის აღმასკომს, რათა მან დაგვიქიროს ერთი გამგე ამ ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის, რაც აუცილებელია. მაგრამ არც მარტო ამით განისაზღვრება ამ უჯრედის მუშაობა. ს. პერევისაში არსებობს კოოპერატივი. როგორც მოგეხსენებათ სხვადასხვა მიზეზების გამო არსებობენ სოფლის კოოპერატივები, რომლების ერთი ნაწილი იკეტება, მეორე ნაწილი კი არც იქით არის და არც აქეთ, ისე ბოგინობს. აი ამ უკანასკნელთა ჯგუფს ეკუთვნის ჩვენი კოოპერატივიც. ამას გაუწია ანგარიში თემკომმა და აქ მოხსენებულ 13 მაისის სხდომაზე დაადგინა, რათა დაუყოვნებლივ ყველა კომიჩეიკის წევრებმა შეიტანონ საპაიო გადიდებული გადასახადი, რაც სისრულეში მოყვანილ იქნა. ამითაც არ იკმარეს. თავიანთ წევრებთა შორის შეკრიბეს შეძლებისდაგვარათ სამოცი მილიონი (60 000 000) მანეთი და გადასცეს კოოპერატივს სესხათ, რითაც საშუალება მიეცემა კოოპერატივს ამუშავდეს და გადარჩეს საერთო უბედურებას, დაკეტვას.

ბერიშვილი.

# ამიერ-კავკასიის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის 1-ლი საოლქო კონფერენცია

(მეექვსე და მეშვიდე სხდომა).

### ამხ. მატვეევის მოხსენება.

20 მაისის საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. მატვეევის მოხსენება „მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის განათლების შესახებ“.

მომხსენებელმა ნათლათ დაასურათა კომკავშირის მიერ ამ დარგში შესრულებული მუშაობა, აღნიშნა მომავალი მუშაობის გეგმა და ხაზი გაუსვა ამ მუშაობის გაფართოების საჭიროებას.

„ამხანაგებო, სთქვა ამხ. მატვეევმა, ჩვენ დიდი ხანია წამოვაყენეთ მუშური ახალგაზრდობის აღზრდის საკითხი, ჩვენ ბევრჯერ გვისაუბრია და გადაგვიჭრია ეს საკითხები, მაგრამ ეს შეეხებოდა მხოლოდ იმ მუშა-ახალგაზრდობის აღზრდას, რომელიც წარმოებაში იმყოფება და გვავიწყდებოდა დანარჩენი—მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა“.

**საქარხნო—საფაბრიკო მოწაფეობის შკოლები უნდა გაფართოვდეს.**

საქარხნო—საფაბრიკო მოწაფეობის შკოლებმა უკვე საკმაოთ დაამტკიცეს თავისი არსებობის სარგებლობა და სათანადო ადგილი დაიჭირეს სახალხო განათლების საერთო სისტემაში. ეს გარემოება მოითხოვს, რომ მათი არსებობის საკითხი დაისვას მთელი თავისი სიგრძე—სიგანით. ეს შკოლები უნდა გაფართოვდეს.

**ჩვენი შკოლა ჩამოყალიბების პროცესშია**

სრულიად რუსეთის ყრილობაზე ჩვენ განვაცხადეთ, რომ ჩვენი მუშა ახალგაზრდობის სკოლა არის სოციალისტური სკოლის უჯრედი და ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება.

**მუშათა ფაკულტეტები—ეს უმაღლეს სასწავლებლების მუშათა ელემენტებით შევსებაა.**

სისტემების გარჩევის დროს აღნიშნული უნდა იქნეს სახალხო განათლების კიდევ ერთი სისტემა. ეს მუშათა ფაკულტეტებია. უნდა ითქვას, რომ მუშათა ფაკულტეტები თუმცა ჩვენის მხრივ სიმპატიებით სარგებლობენ, მაგრამ სამწუხაროთ ისინი მომავალ სკოლებათ ვერ გამოდგებიან. ამ სკოლას ერთი უდიდესი ამოცანა აქვს—დღევანდელი დღის ინტერესებისათვის გამრავლებულ იქნას უმაღლეს სასწავლებლებში მუშათა ელემენტები და ამაღლებულ იქნეს მუშათა კლასის კულტურული დონე.

**საჭიროა სკოლებში რეფორმის მოხდენა.**

ჩვენი ამიერ-კავკასიის პირობები უფრო სხვადასხვანაირია, ჩვენი ამიერ-კავკასიის სინამდვილე უფრო ბევრის მომთხოვია და აქ ჩვენ არა მარტო ორი ახალი სისტემა გვაქვს, არამედ ჩვენ გვაქვს მთელი რიგი სკოლებისა, რომელნიც ძველ დროს მოგვაგონებენ. ეს ეგრედ წოდებული გუმანიტარული ტეხნიკუმი, სემინარები აზერბეიჯანში და მეორე საფეხურის სკოლები. და მუშათა ახალგაზრდობა, რომელიც ამ სკოლებში სწავლობს სრულებით მოწყვეტილია მუშათა კლასს და წარმოებას საჭიროა საჩქარო ზომების მიღება ამ სკოლებში რეფორმების მოსახდენათ.

**ჩვენი მუშაობის საფუძველი საფაბრიკო-საქარხნო სკოლებია.**

მუშათა ახალგაზრდობის განათლების საქმეში მთელი ჩვენი მუშაობის საფუძველი უნდა იყოს საფაბრიკო-საქარხნო სკოლების ჩამოყალიბება. ეს არის ჩვენი კავშირის დღევანდელი დღის ამოცანა.

შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია და მოსმენილ იქნა ამხ. დევდარიანის მოხსენების თეზისები სოფლად მუშაობის შესახებ. მოსმენილ იქნა აგრეთვე სამანდატო, პოლიტგანმანათლებელი, კულტაღმზრდელობითი და ორგანიზაციულ კომისიების მოხსენებები. მათი მუშაობა დამაკმაყოფილებლათ იქნა ცნობილი.

# ეკონომიური ცხოვრება

### ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ ვალიუტის კურსის დამწესებელ დროებით კომისიის ოფიციალური კურსი.

(24 მაისი)

საბჭ. ფულ. ნიშნ. —18 ათასი.
ჩერვონცები— 10,700 ათასი.
გირ. ეფექტ. —12 500 ათასი
გირვან. ჩეკები —11,500 ათასი
დოლ. ეფექტ. —2 700 ათასი
დოლარ. ჩეკები — 2,450 ათასი
ოსმ. ქალ. ლირა— 1,700 ათასი.

### მუშკოპის ფასები.

24 მაისი.

შაქარი ფხვნილი—350 ათასი. ადგილობრივი მარმარილოს საპონი—300 ათასი. „ტოლე“-ს საპონი—300 ათასი. წითელი ლობიო—30 ათასი. ადგილობრივი ლობიო—35. ასანთი—25 30 ათასი. მარილი—45—50 ათასი.

### საქონლის ბაზრის ფასები.

(საბითუმო)

ყუბანის ხორბალი—1700—1800. ადგილობრივი ხორბალი—1500. ლობიო—650—1200 ათასი. ბქულის ბრინჯი—7000 ათასი. ქვამარილი—1800—2000. ფქვილი „კრუპჩატკა“—4000. გოლანდიის ნატეხი შაქარი—29—30 მილ. კარაქი 1 ხარის.—24000—27000, ერბო 1 ხარ.—17000—20000. თუშური ყველი—6000—12000.

### ძვირფას ლითონების ფასები.

24 მაისი.

ოქრო 96 გასინჯ. მისხალი—3 მ. 60 კ. ოქრო 56 გასინჯ.—1 მ. 80 კ. ვერცხლი 84 გასინჯ.—8 კ. ვერცხლის ხურდა ფული ერთი მანეთი—18,5 კ.

### ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს აზრათ აქვს სხვადასხვა შალის ფართლეულობის და, უმთავრესათ, შაქრის რეალიზაცია მოახდინოს ბაქოს ბაზრობაზე. ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს წარმომადგენლად ბაქოს ბაზრობაზე დაინიშნა ამხ. ამირაგოვი.

### ამიერ-კავკ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში.

ამ.-კავკ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი შეუდგა ნ. ნ. ბობინინის დიდი შრომის „სპარსეთის ეკონომიური მდგომარეობა და მისი საგარეო ვაჭრობა“-ს ბეჭდვას. ეს წიგნი ფართო ეკონომიურ წრეებისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენს, რადგან ასეთი გამოკვლევები საერთოდ ძალიან ცოტაა და რაც არის ყველა დაძველებულია.

### მატყლი.

1923 წ. გეგმის მიხედვით განზრახულია 20 000 ფ. შუშის, ისპანის და ლეკური მატყლის დამზადება. ყველა რაიონებში ამ ჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს მატყლის დასამზადებლად; დღევანდელამდის შეძენილია უკვე 10.000 ფუთი მატყლი და ხელშეკრულებებით დაბევებულია 20.000 ფუთი.

### მატყლის შესყიდვა სომხეთში.

ამ.-კავ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ მისცა ერევნის განყოფილებას შეისყიდოს 10.000 ფუთი მაკინისა და ყარსის მატყლი.

### თამბაქოს დამზადება.

1923 წ. გეგმის მიხედვით განზრახული იყო 20.000 ფ. თამბაქოს დამზადება. ამ ჟამად ამ-კავ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მიერ დამზადებულია 7.000 ფ. თამბაქო. ოპერაციების დამთავრება განზრახულია ახლო მომავალში.

### აბრეშუმის პარკი.

სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა მოსალოდნელ აბრეშუმის პარკის საოპერაციო სეზონისათვის.

# ვუფრთხილდეთ კომბინატორებს

საბჭოთა ხელისუფლებას, სხვა მრავალ დადებით მხარეებთან ერთად ახასიათებს არაჩვეულებრივი სიფრთხილე, მზრუნველობა სახალხო ქონებაზე და ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეზე. საბჭოთა ეკონომიური რეჟიმი გულისხმობს არა მარტო გადმოსვლას სახელმწიფოს ხელში მნიშვნელოვან სამრეწველო დარგებისას და მათ დაცვას შინაურ და გარეშე კერძო კაპიტალის ბოროტ გამოყენებისაგან, არამედ საზოგადოთ მფარველობას და რაციონალურად გამოყენებას ქვეყნის ყოველგვარ სიმდიდრისას.

ამ პრინციპით ხელმძღვანელობს ის, როდესაც სცემს რაიმე იჯარას, კონცესიას თუ სხვ. კერძო კაპიტალზე. ეს უნდა ახსოვდეს ყოველ სამეურნეო ორგანიზაციას, ყოველ დაწესებულებას, რომელსაც აქვს პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირი ამ საქმესთან.

ამ წერილით ჩვენ გვინდა მივაქციოთ სათანადო ორგანოების ყურადღება საქართველოს საუკეთესო ბუნებრივ სიმდიდრის—ტყის უწესო ექსპლოატაციაზე. ამ შემთხვევაში სახეში გვაქვს ლეჩხუმ სვანეთის რაიონი და განსაკუთრებით ლეჩხუმის მაზრა.

ჯერ კიდევ გასულ წლის ზაფხულზე რაჭის მაზრის ტყეების მდგომარეობის შესახებ ჩვენ ვსწერდით, რომ საქართველოს ერთ-ერთი მხარის დაუფასებელი სიმდიდრე ნადგურდება, რომ რაჭის მაზრის ტყეებს, ვინმე ივანოვის და დათეშიძის ცეოხებით გადაშენება მოელის, რომ საჭიროა ამ ანორმალურ მოვლენას ყურადღება მიექცეს და სხვა.

მაშინ ჩვენ არავითარ გადაჭარბებულ რამეზე არ მიუთითებდით მიწად-მოქმედების კომისარიატის სატყეო განყოფილებას.

ივანოვმა და დათეშიძემ მართლაც გაანადგურეს (თუმცა არა სავსებით, რადგან დროზე გაუგეს) რაჭის მაზრის საუკეთესო აგარაკები, პირველმა ნიკორწმინდის და მეორემ უწერაგოდოლის.

არ გაუვლია მას შემდეგ დიდ ხანს, რაც **ორივე ექსპლოატატორი გამოძევებული იქნენ მაზრიდან.**

რაჭის სამაზრო აღმასკომმა დააფასა მაზრის უპირველესი სიმდიდრე და კიდეც დაუდგა მას დარაჯათ. ამიერ-კავკასიის სატყეო კომიტეტის მიერ რაღაც „ექსტერიტორიალური“ უფლებებით აღჭურვილი ბ. ივანოვი მოაშორა მაზრას. ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაატოვებინა ბ. ივანოვს ხე-ტყის თითქმის მთელი მარაგი იმ ზარალის ასანაზღაურებლათ, რომელიც მან მიაყენა ხსენებულ აგარაკს.

რაჭის სამაზრო აღმასკომმა თვითვე დაიწყო ნორმალური ექსპლოატაცია თავისი ტყეების, გააშენა ამისთვის სახერხავი ქარხნები და ამით დაუფასებელი სამსახური გაუწია მთელი მაზრის მოსახლეობას.

ნაქერალის ახლოს დღეს გრიალებს ქარხნები და მშრომელნიც აღფრთოვანებულნი არიან.

რაჭიდან გაქცეული ექსპლოატატორი ლეჩხუმის მაზრაში გადაბარგებულა თავისი ამალით, „სპეცებით“ და, საზოგადოების თქმით, საეჭვო პირებით.

ლეჩხუმის მაზრას დიდი „სტუმართმოყვარეობა“ გამოუჩენია და ივანოვიც მაზრის ტყეებში შეუშვია.

ივანოვსა და ლეჩხუმის აღმასკომს შორის დადებულია ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ივანოვს უფლება ეძლევა აწარმოოს ექსპლოატაცია თვით ხელუხლებელ აგარაკებშიც და 30 პროცენტი დამუშავებულ მასალიდან აძლიოს სისტემატიურად აღმასკომს.

ასეთია დაახლოებით ხელშეკრულების პირობები, რომელიც ამ დღეებში უნდა დამტკიცებულიყო საბოლოოდ.

ჩვენ ურჩევთ ლეჩხუმის აღმასკომს და მიწად მოქმედების სატყეო განყოფილებას, რომლის ნებართვით შეიკრა ალბათ ხელშეკრულება, ადგილობრივმა ხელისუფლებამ **ივანოვს არ მისცეს ექსპლოატაციის უფლება.**

ბ. ივანოვი უფრო მეტად გაიმეორებს რაჭის მაგალითებს ლეჩხუმში. ის არ გაუწევს ტყის მოვლა-მოშენების არავითარ წესს ანგარიშს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე დაარღვევს ხელშეკრულების პირობებს, შექმნის თავის საეჭვო უზარმაზარ კანცელიარიას, გასწევს მუშა ხელის ყვლეფას (არ მიიღებს რა მხედველობაში, ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ მუხლს ცაგერის პროფ-ბიუროსადმი დამორჩილების შესახებ მუშა ძალის მიღების და ტარიფიკაციის შემთხვევებში) და ერთი სიტყვით აბუჩად აიგდებს მთელ ხელშეკრულებას და შედეგათ მისცემს ლეჩხუმს განადგურებულ ტყეებს, რათა თავისი დარღვეული პირობა რკინის გზებთან გამოასწოროს. ლეჩხუმის აღმასკომს შეუძლია ბ. ივანოვის შესახებ მიიღოს ცნობები რაჭის აღმასკომიდან და ცაგერის პროფ ბიუროს ტყიბულის რაიონის შრომის განყოფილებისაგან, სადაც ინახება ათეული ოქმი ივანოვის მიერ მუშების უსაზღვრო ექსპლოატაციის შესახებ.

მარგანეცთან ერთად ტყეები სასიცოცხლო ძარღვია საქართველოს ეკონომიური ცხოვრების და ამიტომ ამ ბუნებრივ დოვლათის საჭიროა მეტის-მეტი მოვლა. ასეულ წლების განმავლობაში ნაზარდი ტყე, რომლითაც დღის ამაყოფს ლეჩხუმის მაზრა, მალე განიავდება.

ასეთ ხიმდიდრეს კომბინატორებს ნუ ჩაუგდებთ ხელში, რაც შეიძლება უფრთხილდეთ მათ.

ამას მოითხოვს საღი გონება.

დ. გ.

# საქართველოს აგარაკებში

## ბორჯომი

ბორჯომი მდებარეობს ზღვის დონედან 2607—2637 ფუტის სიმაღლეზე (795—804 მეტრი) გორის მაზრაში ტფილისიდან 139 ვერსის დაშორებით, კავკასიონის მთების ცენტრში, ლიხ სურამისა და თრიალეთის ქედებს შორის მდებარე ბორჯომის ხეობაში. ბორჯომი მდიდარია არა მარტო მინერალური წყლებით, არამედ ლამაზი მდებარეობითაც, რომელსაც ამკობენ სამხრეთის საუცხოვო ფლორა, წიწვოვანი ტყეები და ფუჭ-აზოტიანი ჰაერი. აქაური მდიდარი ბუნება კულტურასთან შეერთებულ მოსულზე მომხიბლელ შთაბეჭდილებას სტოვებს. რკინის გზის მეოხებით ბორჯომი მისაწვდომია ევროპის ყოველი კუთხისათვის. კლიმატიური თვალსაზრისით, ბალნეოტერაპიისათვის ბორჯომი წარმოადგენს უბარ საშვალებას. ბორჯომი არის მთის კლიმატიური სადგური მსუბუქ-რბილი ჰავით და ციება-ცხელებისაგან თავისუფალი ჰაერით. თბილი, ნათელი დღეების სიუხვე ავადმყოფს საშვალებას აძლევს ჰაერით სარგებლობისას და სეირნობისას მთელი დღის განმავლობაში. ტემპერატურის და თბილი ჰაერის მეოხებით ავადმყოფს შეუძლია მთელი დღე აქაურ საუცხოვო ბაღებში გაატაროს..

იშვიათად, მხოლოდ მაისის დასაწყისია აქ წვიმიანი, დანარჩენ თვეებში კი სჭარბობს ნათელი, თბილი და მზიანი დღეები.

## ბორჯომის სამკურნალო საშვალებები.

ბორჯომის რაიონში მინერ. წყაროებია: ევგენის, ეკატერინესი, წალვერისა და ცხის ჯვარის წყლები. პირველი ორი წყარო იმყოფება თვით ბორჯომში და მათი შემადგენლობა ფრიად უახლოვდება ვიშის წყლებს. ამ წყლების სამკურნალო ღირსება დამტკიცებულია მეცნიერულად და სახელგანთქმულია დიდათ მთელს ევროპაში. წალვერის კირნარ-რკინოვანი წყარო მდებარეობს ბორჯომიდან 14 ვერსის დაშორებით, ხოლო ცხის ჯვარის თბილ-გოგირდოვანი წყარო 42 ვერსის მანძილზე ბორჯომიდან. ეკატირინეს და ევგენის წყაროები გამოსადეგია შიგნით მისაღებად სხვა და სხვა შინაგან სნეულებათა სამკურნალოდ, როგორიცაა მაგალითად, სასუნთქი მილების, საჭმლის მომნელებელ ორგანოების, საშარდე სასქესო მილების და ნერვიული სისტემის დაავადებისა და მოშლის დროს. [illegible] არა მარტო ადგილობრივ წყაროებთან, არამედ ბოთლების საშვალებით იგი გააქვთ ყველგან ბორჯომის იქითაც.

მინერალურ წყლების გარდა აქ სამკურნალოდ იხმარება აგრეთვე სხვა და სხვა მინერალური მარილები შიგნით მისაღებად და ამასთანავე გარედანაც ვანების საშვალებით. ბორჯომში საკმაოდაა საბანაო შენობები თანამედროვე მორთულობით და მოხერხებული მოწყობილობათ. მკურნალობა მინერალური წყლებითა და ნახშირ-ჟანგა-ტუროვანი ვანებით სწარმოებს გამოცდილ ექიმთა ხელმძღვანელობით. ექიმები ხელმძღვანელობენ აგრეთვე მკურნალობის ყოველგვარ ფიზიკურს მეთოდს.

## დროს გატარება და გართობა ბორჯომში

თეატრი, კონცერტები და მუსიკა პარკში დღეში ორჯერ. სეირნობა ბორჯომის ახლობელ და შორეულ მიდამოებში სწარმოებს გამოცდილ პირთა ხელმძღვანელობით წინასწარ გამომუშავებულ სასეირნო პროგრამის მიხედვით სტუმრად მოსულთა სურვილების თანახმად:

I გასეირნება მინერალური პარკის ხეობაში ვიდრე გოგირდის წყარომდე. II. გასეირნება წყაროების პარკიდან თორსის შარა-გზამდე, III. გასეირნება ვორონცოვის პლატოზე, IV. გასეირნება ლემმერტოვის პარკში. V. სასახლის ბაღში, VI. ლიქაის ბაღში, VII. გასეირნება „გოგიას ციხის“ ნანგრევებზე, VIII. სანადირო ტყის გზით ჯვარის აღმართზე გასეირნება, IX. გასეირნება სასოფლო ეკლესიიდან ლიკაპაშის მიმართულებით, X. ბორჯომის ახლო მდებარე სასეირნო მიდამოები:

1) სადგურის ტბა—6 ვერსის დაშორებით ბორჯ., 2) ლიკანის მონასტერი 3 ვერსის დაშ., 3) მწვანე მონასტერი 7 ვერსით, 4) სოფელი ვაშლოვანი 8 ვერსით, 5) სოფელი ქვიბისი 3 ვერსით, ნადარბაზევი—წყალსადენის სათავე 10 ვერსით.

ბორჯომიდან დაშორებული სასეირნო მიდამოები:

1. დაბა და დაბის მონასტერი, 2. წალვერი და ტიმოთეს უბნის მონასტერი, 3. ბაკურიანი — რკინის გზით 15 ვერსით, 4 ცხის-ჯვარი ბაკურიანიდან 4 ვერსის მანძილზე, 5. ცხრა წყარო ბაკურიანიდან 14 ვერსის მანძილზე, 6. ტაბაწყურის ტბა, 7. კოდიანის მწვერვალი, 8. სოფელი თორი, 9. ლომის მთა, 10. ქობის ხევი და სხვა.

# პროფკავშირებში

### რკინის გზელთა კავშირში

**მახინჯაურის აგარაკი**

ა. კ. რკინის გზის კავშირის დადგენილებით, კავშირის ხარჯზე მყოფი უთავშესაფარო ბავშვები გაიგზავნებიან მახინჯაურში. ამ მიზნით სწარმოებს მოლაპარაკება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან აგარაკის გადაცემის შესახებ.

**პროფტეხნიკურ კურსებზე.**

პრეზიდიუმმა დაადგინა დაუშვას თავისუფალ მსმენელებად ტელეგრაფის პროფტეხნიკურ კურსებზე შრომის ბირჟაში აღრიცხულნი უმუშევარნი.

**მუშათა ფაკულტეტი.**

რკინის გზელთა კავშირთან არსებულ მუშათა ფაკულტეტზე დღეს საკმაო მუშათა რიცხვი სწავლობს. ლექტორებად მიწვეულნი არიან გამოცდილი პირები.

### გემო-კვების კავშირში

**საერთაშორისო კვირეული.**

გემო-კვების კავშირი შეუდგა საერთაშორისო კვირეულის ჩასატარებლად. დღესასწაულის გეგმის შესადგენად არჩეულია კომისია.

### მედიკო-სანიტარულ კავშირში

**ბეითალ ექიმთა ყრილობა.**

ბეითალ ექიმთა ყრილობა დანიშნულია 15 ივლისისათვის. დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1. საბეითლო სექციის ანგარიში. 2. საქონლის გადამდები სენი, შრომის დაცვის, სოციალურ დაზღვევის, პროფგანათლების და სატარიფო-ეკონომიური საკითხები.

**სანიტგანათლება.**

მედიკო-სანიტარულ კავშირმა გადასდო საკმაო თანხა სანიტარულ განათლებისათვის.

**სამეცნიერო კრებული.**

კულტგანყოფილებამ დაადგინა შეიძინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა სამეცნიერო კრებული და დაურიგოს ადგილკომებს.

---

ლი მიანიჭა მისმა რკინის ნებისყოფამ, მისმა მარქსისტულმა გაწვრთნამ და მის მიერ „მიწისა და თავისუფლების“ და „ხალხის თავისუფლების“ გმირული ეპოქის რუსული რევოლიუციონური ტრადიციების და უფრო ადრინდელი რევოლიუციონურ მატერიალისტების და სოციალისტების—ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვის, ბურჟუაზიული ლიბერალიზმის და იდეალიზმის წინააღმდეგ გამოსვლის კარგად შეთვისებამ.

„ისკრას“ არსებობის პერიოდში (1901—03 წ.) ორგანიზაციული და იდეური საფუძველი ჩაეყარა მომავალ ბოლშევიკურ ფრაქციას რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში. 1905 წლის 9 იანვრის შემდეგ, როცა დაიწყო რუსეთის რევოლიუციის ღრმა სოციალური შინაარსის გამორკვევა, როცა რევოლიუცია მოედვა სოფელსაც და შეიჭრა არმიაში, ბოლშევიკურმა ფრაქციამ წამოაყენა საკუთარი პოლიტიკური პლატფორმა და აიღო მტკიცე კურსი „პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურისაკენ“.

ბოლშევიკებმა იცოდენ, რომ მიდიოდენ რა დიქტატურისაკენ რევოლიუციაში, რომელსაც ისინი ძველებურად თვლიდენ ბურჟუაზიულად, ისინი მიდიან დიდი დაბრკოლებების გზით. მაგრამ მათ სწორათ განსაჯეს: პრუსიის რევოლიუცია დამთავრდება ან პრუსიის კონსტიტუციის მონიჭებით, შეთანხმებით ბურჟუაზიასა და ფეოდალურ კლასებს შორის (მეფის ბიუროკრატია და მემამულეები), ან გაიმარჯვებს სავსებით და გამოიწვევს აგრარული საკითხის რადიკალურად გადაჭრას, რაც ხელისუფლებას გადასცემს პროლეტარიატსა და გლეხობას, რომლებიც მხოლოდ დიქტატურის საშვალებით შესძლებენ დასძლიონ ბურჟუაზიულ-ფეოდალური კონტრ-რევოლიუციონური ძალების წინააღმდეგობა. არის მხოლოდ ორი გზა, ამბობდენ ისინი, და მოკლებული იყვნენ რა გამლეტიზმს, მათ ურყევათ აირჩიეს მეორე გზა და გაბედეს წასულიყვენ სრული გამარჯვებისაკენ და მომავალს მიანდვეს გადაეჭრა თუ როგორ იქნეს დაძლეული ის დაბრკოლებები, რომლებიც წარმოიშობიან ამ გამარჯვების შემდეგ.

რუსეთის პირველმა რევოლიუციამ, როგორც ჩვენ ვიცით, არ მისცა საშუალება ბოლშევიკებს საბოლოოთ შეემოწმებიათ თავისი ტაქტიკის სისწორე. რევოლიუცია ჩაალრჩვეს საფრანგეთის მილიარდებით უფრო ადრე, ვიდრე გლეხების მოძრაობა მოასწრებდა საკმაო ძლიერი დახმარების აღმოჩენას რევოლიუციონური პროლეტარიატისათვის. მაგრამ ამ რევოლიუციას არ ჩაუვლია ამაოთ.—ის საუცხოვო შკოლა შეიქმნა როგორც პროლეტარიატის, ისე ბოლშევიკური ფრაქციისათვის. მან ის შეიარაღა იმ გამოცდილებით, იმ მოხერხებით და იმ თვისებებით, რომლებმაც უზრუნველყვეს მისი გამარჯვება მომავალში, როცა მსოფლიო ომმა ძირი გამოუთხარა ევროპის კაპიტალიზმის ძლიერებას და უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქნა რუსეთის მეორე რევოლიუციისათვის.

უკვე 1905 წლის რევოლიუციის დასასრულისათვის ბოლშევიკებმა შესძლეს აეცილებიათ წინააღმდეგობა ჩვენი პარტიის ძირითადი პრობლემის დაყენებაში. სწორედ ბოლშევიკურმა ტაქტიკამ უკარნახა კაუცკის, და ბოლშევიკები დაეთანხმენ მას ამ მუხლში, რომ რუსეთის რევოლიუცია იქნება არა ბურჟუაზიული, არამედ საშუალო ბურჟუაზიულსა და სოციალისტურს შორის, რომ ის, თუ გაიმარჯვა, მოახდენს ბურჟუაზიულ გადატრიალებას სოფელში და ამავე დროს გადადგამს პირველ ნაბიჯებს სოციალიზმისაკენ ქალაქში.

უკვე პირველ რევოლიუციის დროს ბოლშევიკებმა ისწავლეს ძველი „ფრანგული მეთოდი“-ს პირდაპირი შეტევისა „გერმანულ მეთოდთან“ პარლამენტარიზმთან და ორგანიულ აღმშენებლობასთან შეთანხმება და თუმცა „გერმანულ მეთოდის“ ხმარების ინიციატივა ჩვენში უფრო ხშირად მენშევიკებისაგან გამოდიოდა, მაგრამ საბოლოო ანგარიშით ბოლშევიკები ამ მხრივაც სჯობდენ მენშევიკებს იმის გამო, რომ მათ აიღეს ისტორიულათ უფრო სწორი, უფრო გადამწყვეტი, უფრო რევოლიუციონური კურსი. ასე, მაგალითად 1905 წ. პეტროგრადში უპარტიო მუშათა დეპუტატების საბჭოს ორგანიზაციის ინიციატივა გამოდიოდა მენშევიკებიდან, ამ საბჭოს პოლიტიკა კი წავიდა ბოლშევიკური ხაზით. ასე მაგალითად სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში ჩვენი პარტიის მონაწილეობის ინიციატივა გამომდინარეობდა მენშევიკებიდან, ჩვენი საპარლამენტო სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ტაქტიკა კი წავიდა და ბოლოს ბოლშევიკური ხაზით, მემარცხენე ბლოკით ტრუდოვიკებთან კადეტების წინააღმდეგ და თვითონ მენშევიკებიც სათათბიროში სულ ხშირად იხრებოდენ ამ გზისკენ. ასე პროფკავშირების და საავადმყოფო კასების ორგანიზაციის ინიციატივა პარტიაში გამოდიოდა მენშევიკებიდან და ბოლშევიკებმა კი და ბოლოს ამ პოზიციებიდან გარეკეს უკვე 1912 წელში, როდესაც დაიწყო ახალი რევოლიუციონური აღტკინება.

უკანასკნელ უკვე რუსეთის პირველი რევოლიუციის დროს ბოლშევიკებმა კარგათ ისწავლეს მანევრები და სრულებით სცვლიდენ თავის ტაქტიკას სიტუაციის გამოცვლის დროს და იმავე დროს უცვლელად და ხელუხლებლათ ინახავდენ თავის ბრძოლის ცენტრს, რომელიც მას შემდეგ, რაც პარტიას უხდებოდა უკან დახევა, პირობების ხელსაყრელ გამოცვლის დროს სწრაფად ახდენდა პარტიის რიგების გადაჯგუფებას და კვლავ გზავნიდა მას გაფართოებულ შეტევისათვის. ამნაირათ, ბოლშევიკურმა ფრაქციამ, რომელიც უკვე 1911 წელს საბოლოოდ ჩამოსცილდა მენშევიკებს და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ პარტიათ, გაარკვია ახალი გზა სოციალისტური მოძრაობისთვის, მშვენივრად მოემზადა ახალი გამოცდისთვის, რომელიც შეხვდათ ევროპის სოციალისტებს მსოფლიო ომის დროს. მსოფლიო კატასტროფის დასაწყისში მხოლოდ მან შესძლო მსოფლიო ბურჟუაზიის ერთიან ფრონტის წინააღმდეგ გალაშქრება და იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომათ გადაქცევის ლოზუნგის მოცემა. მხოლოდ მან რუსეთში მენშევიკებთან ბრძოლაში გამოცდილმა, გაბედა ციმერვალდის კონფერენციაზე მთელ მეორე ინტერნაციონალისაგან და მისი მერყევი, ჭაობიანი მემარცხენე ცენტრისგან გათიშვის გზაზე დადგომა, აძლევდა თავის თავს სრულ ანგარიშს იმაზე, რომ მეორე ინტერნაციონალი არის იგივე მენშევიზმი მსოფლიო მასშტაბით და ის მარაზმი, რომელშიაც დღესაც იმყოფებიან მეორე და 2 ნახევარ ინტერნაციონალის ყველა პარტიები, ამოწმებს იმას, რომ ბოლშევიკების გამთიშველი ნაბიჯი სრულიად საფუძვლიანი იყო.

როდესაც რუსეთში იფეთქა თებერვლის რევოლიუციამ, ბოლშევიკები უმცირესობას წარმოადგენდენ არა მარტო საბჭოებში, არამედ მუშათა უბნებშიც, სადაც რუსეთშიც კი სოციალ-პატრიოტული შხამი და ყოველ შემთხვევაში საერთო განწყობილების გავლენით ეშინოდათ ომისაგან გამოსვლა ძლიერ მოკავშირეების უდასტუროთ. ასეთ პირობებში ძალა-უფლების დაპყრობის ცდა მხოლოდ ბოლშევიკური ძალებით სიგიჟე იქნებოდა და თუმცა სადღესო პირობები მეტად არახელსაყრელი იყო ბოლშევიკებისათვის თებერვლის რევოლიუციის დასაწყისი, ლენინი სწორი რევოლიუციონური ინსტიქტით მიხვდა, რომ ეს პირობები მალე შეიცვლებიან რევოლიუციის შემდეგი მსვლელობის დროს. ამიტომ ის, დაბრუნდა რა რუსეთში, ბედავს გალაშქრებას ყველას წინააღმდეგ და აყენებს ბოლშევიკების წინაშე ამოცანას ძალების შეკრებისას კოალიციონურ მთავრობის დასამხობათ და მთელი ძალაუფლების გადასაცემათ საბჭოებზე, რომლებსაც მხოლოდ შეუძლიათ რუსეთის გაბედულათ ომიდან ჩამოცილება, გლეხებისთვის მიწების მიცემა და სოციალიზმისკენ პირველი ნაბიჯების გადადგმა. დაისახა რა ეს მიზანი, ბოლშევიკები, სრულებით არ შეკრთენ იმ კატასტროფიული მდგომარეობით, რომელშიაც იმყოფებოდა ქვეყანა (გაკვეთილი გერმანელი მუშებს), ფეხდაფეხ სდევნიდენ კოალიციონურ მთავრობას, ამხილებდენ რა ყოველ ნაბიჯზე რევოლიუციის საქმისთვის ღალატს, და მათ მიაღწიეს თავის მიზანს. უკვე კორნილოვის აჯანყების შემდეგ ჯარისკაცთა უმრავლესობა ბოლშევიკების მხარეზე იყო და ამან მისცა შეძლება ადვილათ მოეხდინათ ოქტომბრის გადატრიალება.

მენშევიკები და ესერები უსაყვედურებდენ ბოლშევიკებს იმაში, რომ ისინი დემაგოგიურათ მოქმედებენ, რომ ისინი შეგნებულათ შლიან არმიას, როდესაც ძლიერი მტერი სდგას ფრონტზე, რომ ისინი მხარს უჭირენ მუშათა ისეთ ეკონომიურ მოთხოვნილებებს, რომელიც არ შეუძლია აიტანოს ომით დაზიანებულ ჩვენს მრეწველობას, რომ ისინი აქეზებენ გლეხობას მემამულეთა მიწების უწესრიგო დატაცებას, რომელიც აუცილებლათ მიგვიყვანს სამეურნეო ინვენტარის დატაცებამდე და მიწადმოქმედების სრულ დაცემამდე. ეს ბრალდებანი საფუძვლიანი იყო, მაგრამ ბოლშევიკები თავის მოწინააღმდეგეებზე გაცილებით უფრო შორსმჭრეტელი აღმოჩნდენ და ისინი მოქმედებდენ რევოლიუციის ინტერესების თვალსაზრისით გაცილებით უფრო სწორათ მენშევიკებზე და ესერებზე, რომლებიც მთელი თავისი „სიბრძნის“ მიუხედავათ მიწას სტკეპნიდენ ერთ ადგილზე და ძალა არ შესწევდათ გადაეჭრათ რევოლიუციის ერთი ძირითადი პრობლემა.

მაინც ოქტომბრის რევოლიუციის რუსული დადებითი გამოცდილებამ და გერმანიის რევოლიუციის არასრული გამოცდილებამ ნათლად დაამტკიცეს, რომ იმპერიალისტური ომის პირობებში რევოლიუციის განვითარება და მისი გაფართოება საბოლოოდ უფრო იცავს ქვეყანას უცხო ქვეყნის დამონებისგან, ვიდრე გამაგრება ძველი სამხედრო აპარატის, რომელიც ყოველ მომენტში მზად არის გახდეს თავის და უცხო ქვეყნის ბურჟუაზიის იარაღათ მშრომელი კლასების წინააღმდეგ. იმავე გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ არავითარი ეკონომიური მსხვერპლი საგრძნობლად დიდი არ არის, თუ ეს მსხვერპლი აუცილებელია ხალხში რევოლიუციონურ ენტუზიაზმის დასაცავად და რევოლიუციის გასამარჯვებლად, და ეს მსხვერპლი ყოველთვის იმაზე უფრო ნაკლები იქნება, რომელიც გადახდება ხალხს კონტრ-რევოლიუციის გამარჯვების შემთხვევაში, როდესაც მომწიფებულია პირობები რევოლიუციისათვის. სახელმწიფო ორგანიზაციის გამომთელება მხოლოდ ენერგიულ ქირურგიული დახმარებით მოხდება და არა ოპორტიუნისტური მიქსტურებით.

როდესაც ბოლშევიკები ემზადებოდენ ოქტომბრის რევოლიუციისთვის, ისინი უწევდენ რა ანგარიშს რუსეთის ეკონომიურ ჩამორჩენილობას, ფიქრობდენ გამარჯვების შემთხვევაში, გადაედგათ მხოლოდ პირველი ნაბიჯები სოციალიზმისკენ. როდესაც მათ დაიპყრეს ძალა-უფლება და როდესაც კონტრ-რევოლიუციამ ყოველ მხრიდან ცეცხლის რკალში გახვია ისინი, ისინი უფრო შორს წავიდენ მასზე, რასაც ფიქრობდენ. აწარმოებდენ რა ძალა-უფლებისთვის გააფთრებულ ბრძოლას ურიცხვ მტრებთან, მათ რევოლიუციონურ პროლეტარიატის და წითელ არმიის სურსათით უზრუნველყოფისთვის აიღეს პირდაპირი მარშრუტი კომუნიზმისკენ.

ვთქვათ პირდაპირ: ისინი ამ გზით წავიდენ არა თუ უფრო შორს, ვიდრე წინათ თვითონ ფიქრობდენ, არამედ კიდევ უფრო შორს, ვიდრე ამას თხოულობდა ძალა-უფლებისთვის ბრძოლის პირობები, რადგანაც ისინი გერმანიის ამბების შთაბეჭდილებით მოსტყუვდენ მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის სიახლოვეში ამნაირათ ოქტომბრის რევოლიუცია ერთის მხრივ ვერ ასცდა ევროპის ყველა წარსულ რევოლიუციების ბედს, რომლებიც თავის მღელვარე განვითარების დროს ყოველთვის სცილდებოდენ დროის და ადგილის მიხედვით ეკონომიურათ შესაძლებლობის ფარგლებს. მაგრამ თუ წარსული რევოლიუციები ამის გამო ყოველთვის თავდებოდენ კონტრ-რევოლიუციის დროებითი გამარჯვებით, ამ შემთხვევაში ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ, მარქსისტული აზროვნებით შეიარაღებულმა, შესძლო რევოლიუციის ხსნა სამწუხარო დასასრულიდან. როდესაც პირდაპირი, უახლოესი მიზანი ბოლშევიკების მიერ მიღწეული იყო, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება სამოქალაქო ომიდან გამარჯვებული გამოვიდა, ბოლშევიკები ისევე, როგორც ისინი მოიქცენ ბრესტში, უცბად შეატრიალეს გეზი და რომ აეცილებიათ პროლეტარიატსა და გლეხობის შორის განხეთქილება, რომელიც უდიდესი საშიშროება იყო რევოლიუციისთვის, ისინი შესდგენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გზაზე და კომუნიზმის ნაცვლად უახლოესი დროისთვის აიღეს კურსი სახელმწიფო კაპიტალიზმისაკენ.

სასწაულები ქვეყანაზე არ ხდება და ბოლშევიკებმა ვერ შესძლეს მისი განხორციელება. რაც ძირითადათ ეწინააღმდეგება ისტორიაზე ჩვენ მარქსისტულ შეხედულებას.

მათ ვერ შესძლეს ჯადოსნური კვერთხის მოქნევით ერთი დაკვრით გადაექციათ ჩამორჩენილი, 2 მესამედი გლეხური ქვეყანა კომუნისტურ სახელმწიფოდ. მაგრამ ის, რის შესრულებასაც ისინი ოქტომბრის რევოლიუციის დასაწყისიდან ფიქრობდენ და ის, რაც შესაძლებლობის ფარგლებში იყო, მათ შეასრულეს. ისინი გამაგრდენ პოზიციებზე, რომლებიდანაც მათ ვერავინ განდევნის. მათ შეინახეს პროლეტარული ძალაუფლება ჩვენ დაქვეითებულ ქვეყანაში და მით გადააქციეს ის სოციალისტური რევოლიუციის დაუქრობელ ცეცხლად, რომელიც არის პროლეტარიატის გზის მაჩვენებელი და რომელიც ისვრის თავის გარშემო რევოლიუციონური ხანძარის ნაპერწკლებს.

ევროპის და ამერიკის კაპიტალისტურ ქვეყანას ეს კარგათ ესმის. მას არ შეუძლია მსოფლიო მეურნეობის ეკონომიური წონასწორობის აღდგენა, რომელიც საბოლოოდ შერყეულია იმპერიალისტური ომით და ამნაირათ დიდი ხნით აიცილოს განმეორება ამ ომის, რომელიც საბოლოო აღსასრულს უქადის მას. ამიტომ ის დიდი სიჩქარით სცდილობს საბჭოთა რუსეთის მიერ დაფანტულ ნაპერწკლების ჩაქრობას, ჩქარობს სასტიკი ძალმომრეობით ჩაახშოს რევოლიუციონური პროლეტარული მოძრაობა, სანამ გვიან არ არის, სანამ პროლეტარიატის უმრავლესობა იქ ვერ განთავისუფლებულა დამპალ მეორე ინტერნაციონალის გავლენიდან. ამაა მსოფლიო ფაშიზმის კონვულსიური ცდები. პროლეტარიატის მოსპობა ბურჟუაზიას არ შეუძლია, როგორც არ შეუძლია ადამიანს თავის აჩრდილის მოსპობა და ის თავდასხმა, რომელიც ეხლა მთელ ქვეყნებში მუშა-კომუნისტებზეა მიმართული, მხოლოდ აძლიერებენ მესამე ინტერნაციონალის წისქვილის წყალს, მსოფლიო ბოლშევიზმის ძლიერებას. რუსეთის რევოლიუციების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია ისწავლოს გამარჯვება, თუ არ გაიარა ხანგრძლივი სასტიკი რევოლიუციონური ბრძოლის შკოლა აუცილებელ ნაწილობრივი დამარცხებებით. მხოლოდ ეს მწარე გამოცდილებანი სთესენ აზრს მუშათა მასებში, რომ ისინი ბრძოლაში არაფერს დაკარგვენ, გარდა თავის ბორკილებისა, შეუძლიათ კი მთელი ქვეყნის მოგება. ევროპის პროლეტარიატი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა სოციალდემოკრატიულ ილიუზიებიდან, ფაშისტების ჯოხის ქვეშ კარგ შკოლას გადის.

ა. მარტინოვი

# მუშათა ცხოვრება

## ალმაშფოთებელი დაუდევრობა.

(ალმასკომის და მუშ. გლეხის ინსპექციის საყურადღებოდ).

განოვის ქუჩაზე მდებარე საბჭოთა სახლის № 19 პირველ სართულში, პატარა ოთახში ასოთ-ამწყობის ამხ. ბოჭორიშვილის ოჯახია მოთავსებული. დიდი ხანია უკიდურეს სივიწროვეზე შესჩივის მუშა-ბოჭორიშვილი სახლის მმართველობას, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე არაფერი გამოუდის მას. ამასთან მას დაემატა ერთი უბედურობაც, რომელმაც აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა ამხ. ბოჭორიშვილი. საქმე შემდეგშია: ვილაც მდგმური, მის ზევით ოთახში მცხოვრები, უმოწყალოდ და სრულებით მოურიდებლად ასხამს კრანიდან წყალს იატაკზე: წყალი იატაკში გადის, ბოჭორიშვილის ჭერზე ნალესი სცვივა და წყალთან ერთად ეცემა მას თავზე. წყლის და ტალახის მორევი ძალიან ხშირია ბოჭორიშვილის პატარა ოთახში, რის გამო იქ დგომა ყოვლად შეუძლებელი ხდება. ინგრევა ჭერი, ნოტიოვდება კედლები, ლპება იატაკი, ინგრევა სახელმწიფო ქონება. სნეულდება მუშის ოჯახი და დამხმარე თითქმის არსაიდან სჩანს. ამხ. ბოჭორიშვილმა შინჯა მიმართა სახლის გამგის რწმუნებულისთვის, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ნუ თუ შეუძლებელია დაუდევარი და სახელმწიფო ქონების ბოროტად მოხმარებული მდგმურის ალაგმვა?

საჭიროა ალმასკომმა და ქალაქის ინსპექციამ სასწრაფოდ გამოარკვიოს ეს საკითხი და მიიღოს სათანადო ზომები დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

მუშკორი ა. ნ.

## ალმასკომის საბინაო განყოფილების თანამშრომლებში.

საბინაო განყ. თანამშრომელნი იმყოფებიან ეკონომიურად უკიდურეს პირობებში, რის გამო არა ერთხელ მიუმართავთ მათ სათანადო ორგანოებისთვის. მაგრამ გადაწყვეტილი პასუხი დღემდის არ მიუღიათ. მხოლოდ ა. წ. იანვრიდან როგორც სხვა და სხვა კავშირების წარმომადგენელთ, მათ დაუნიშნეს თვეში 12 მილიონი მანეთი ინდივიდუალურად და, თანახმად არსებულ დადგენილებისა, საქონლის მანეთის კურსის აწევის თანავე უნდა მომატებოდათ იმათაც ჯამაგირი. მაგრამ მათდა საუბედუროდ იანვრიდან დაწყებული მხოლოდ მარტში და მაისში მიიღეს 3 მილიონი მანეთის მომატებით 15 მილიონი მანეთი, რომელიც მათ ფეხსაცმლის შეკეთებას უნდება, ვინაიდან აღნიშნულ თანამშრომლებს თფილისის სხვა და სხვა კუთხეებში უხდებათ სიარული და საქმის გამორკვევა. მათ 21 მაისს ერთხელ კიდევ სცადეს თავიანთ მძიმე პირობების გამოსწორებისთვის შუამდგომლობის აღძრა, რისათვის საერთო მოლაპარაკების დროს აირჩიეს სამი ამხანაგი: გოლუბოვა, კამალოვა და დოლიძე, რომელთაც დაევალათ ზემოხსენებული მწვავე საკითხის გამორკვევა და თანამშრომლების სათანადო კატეგორიაში გადარიცხვა.

იმედია, რომ აღნიშნული ამხანაგები იშუამდგომლებენ, სადაც ჯერ არს, და გამოიყვანებენ თანამშრომლებს დღევანდელ მძიმე მატერიალურ პირობებიდან.

მუშ. კორ. ლომისელი.

## რკინის-გზელ უმუშევართა საზოგადო კრება.

21 მაისს მუშტაიდის კლუბში შესდგა რ.-გ. თბილისის კვანძის უმუშევართა საზოგადო კრება, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ვ. ვაშაკიძე, მდივნად ამხ. კარპენკო. დღიურ წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1) უმუშევართა რაოდენობა და მათთვის სამუშაოს აღმოჩენა;

2) უმუშევრების დამოკიდებულება პროფკავშირთან;

3) კულტურული მუშაობა უმუშევრებში.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა შრომის ბირჟის წარმომადგენელმა ამხ. მურდალაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ბირჟაში პირველად ჩაეწერა დაახლოებით 800 კაცამდე. შემდეგ კი უმუშევართა რიცხვს ემატებოდა, საშუალოდ, თვეში 50 კაცი; მაგრამ ამავე დროს თითქმის იმდენივე იგზავნებოდა ადგილებზე. ამიტომ უმუშევართა რიცხვი არ გადიდებულა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ამიერ-კავკასიის რ.-გ. უმუშევართა ყრილობას მიუღია დადგენილება (გარდა გაუსწორებელ ბოროტ-მოქმედთა), ყველა დათხოვნილთა რეგისტრაციაში გატარების და მოთხოვნილებისამებრ მათი ადგილებზე დაბრუნების შესახებ, უმუშევართა რიცხვი 3,000 კაცამდე გადიდებულა. და რომ მათთვის საქმე გაეჩინა, რ.-გ. თბილისის კვანძის პ.-კ. გამგეობამ თავის სამოქმედო ფარგალში ყველგან გაუუქმებია ზედმეტი საათების მუშაობა, შეუჩერებია სამუშაოების მოიჯარადრეებზე გაცემა, რომელთაც არ მიყავდათ სამუშაოზე კავშირის წევრები და არ თხოულობდენ მუშა ხელს ბირჟიდან, შეუდგენია უმუშევართა არტელები და ის სამუშაოები, რომელიც იცემოდა მოიჯარადრეებზე, გადაუცია მათთვის. ამ გარემოებას ძალზე გადიდებული უმუშევართა რიცხვი საგრძნობლად შეუმცირებია.

მეორე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. პალიაკოვი. ის უხსნის პროფკავშირის მნიშვნელობას უმუშევრებს და გამოჰყავს ის დასკვნა, რომ უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველ უძლიერეს ძალად უნდა ჩაითვალოს პროფკავშირი, ამისათვის ის მოუწოდებს უმუშევრებს არ დაკარგონ ცუდ უბრალოდ დრო, შეისწავლონ და შეითვისონ კავშირის დებულებები და გახდენ კარგი პროფესიონალისტები.

კულტურულ მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ნერსესოვი. კულტ-კომისიას სულ ორი თვეა, რაც დაუწყია მუშაობა. მიუხედავად მცირე დროის, მასაც საქმიანობა ეტყობა: მოუწყვია სალამოები უმუშევართა სასარგებლოდ, მოუწყვია ქართული, რუსული და სომხური წრეები, რომელთაც ამზადებს წარმოდგენებისათვის. აგრეთვე მოუწყვია ქართულ და რუსულ გაზეთის გამოცემის საქმე, რომელიც ჩქარა გამოვა. ამხ. ლაშქარაშვილის წინადადებით მომხდარა ნაძალადევში არსებულ უმუშევარ ქალთა კავშირის შრ. ბირჟასთან გაერთიანება და პროპორციონალურად მათი სამუშაოზე გაგზავნა. კრებამ შრომის ბირჟის მუშაობა მოიწონა და ინტერნაციონალის სიმღერით, სალამოს 9 საათზე დაიშალა.

მუშა ვ. ბალაშვილი.

## საიათ-ნოვას სალამო ცენტრალურ მუშათა კლუბში.

22 მაისს ცენტრალურ მუშ. კლუბში გაიმართა საიათნოვას სალამო. ეს იყო დიდი აზიური კონცერტი, 30 კაცისაგან შემდგარი, აზიური საკრავები. ყორღანოვის გუნდი სამაგალითოდ ასრულებდა როგორც „საიათნოვას.„ აგრეთვე თანამედროვე მუშათა მოძრაობის სიმღერებს. დიდად ასიამოვნა დამსწრე მუშები არსენ ჯორჯიაშვილის სიმღერამ. კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ სომხურ სიმღერებში ოვანესიანი, ელპაკიანი; ქართულ რუსულ სიმღერებში—ცხაკაიას ქალი და მომღერალი გლადკოვი. დასასრულ იოსებ ტერ-დავითიანმა როიალზე შესრულა ნ. ყორღანოვის ლეკური. ეს იყო ხელოვნების მაღალ ნიჭის არაჩვეულებრივი ვირტუოზობა, რამაც გაოცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. უნდა ვაღიაროთ, რომ კლუბის გამგე დიდ უნარს იჩენს ასეთ ინტერნაციონალურ კონცერტების მოწყობაში, მუშების ესთეტიურ გრძნობის და გონების ასამაღლებლად.

გ. ჩარხიშვილი.

## მუშათა ქრონიკა.

### ჩვენი მუშკორები აღშფოთებით შეხვდნენ ინგლისის ნოტას.

— ოც მაისს შესდგა ჩვენი თანამშრომელ მუშა-კორესპონდენტების მორიგი კრება, რომელზედაც გაკეთებულ იქნა მოხსენება ინგლისის ნოტის და ამხ. ვოროვსკის მოკვლის შესახებ. მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში ჩვენი მუშა-კორესპონდენტები თავიანთ და მუშების სახელით აცხადებენ სასტიკ პროტესტს ინგლისის უდიერი ნოტის გამო და გამოსთქვამენ თავის მუშურ გულისწყრომას და ზიზღს ამხ. ვოროვსკის მოკვლის მომწყობ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების წინააღმდეგ.

— ამავე კრებაზე მუშკორებმა მოისმინეს ინფორმაციული მოხსენება მუშკორების კლუბის და მის წესდების საკითხის შესახებ, მოისმინეს და განიხილეს აგრეთვე რამოდენიმე წერილები და ლექსები თავის ამხანაგებისა და სხვა.

— **მუშების გაგზავნა აგარაკებზე.** ფეიქართა კავშირმა შეიმუშავა წესი მუშების აგარაკებზე გასაგზავნად. მან წინადადებით მიმართა ჯან. სახ. კომს., რომ მან აცნობოს კავშირს შესახებ იმისა, თუ რამდენი ადგილია დათმობილი ფეიქართა კავშირის წევრთათვის დასასვენებელ სახლებში მიმდინარე ზაფხულისთვის.

— **ბავშვთა სახლები.** ფეიქართა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა ბავშვთა სახლები გადასცეს ქალაქის სახ. განათ. განყოფილებას.

— **წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად** ფეიქართა კავშირის ადგილ-კომეტების დადგენილებით წვრილ კერძო წარმოების დაწესებულებებთან დაარსებულ იქნეს წერა-კითხვის უცოდინარ—მუშებისთვის სკოლები, რომლის შენახვა დაევალება თვით ამ წარმოება დაწესებულებებს.

— **შრომის ექსპლოატატორების გასამართლება.** მე-4 რაიონის შრომის ინსპექტორმა 14 მაისიდან 20 მაისამდე შრომის დაცვის კანონების შეუსრულებლობისათვის ოქმი შეუდგინა შემდეგ სავაჭრო დაწესებულებათა პატრონებს.

— ცენტრალური ბაზრის მოვაჭრეების **ადგილკომის პასუხისმგებელ მდივანს ტერუნის** იმის გამო, რომ მან არ ჰქონია დაზღვეული 4-მეზოიე და ერთი დარაჯი, რომელსაც არც საანგარიშო წიგნაკები აღმოაჩნდათ. შრ. ინსპექტორისგან წინადადება მიეცა ადგილკომის მდივანს—დააზღვიოს მუშები და შეიძინოს მათთვის საანგარიშო წიგნაკი.

— **2. პურის საცხობის პატრონს პოლოს პოზოიანცს** (ლერმონტ. ქ და ლადო დუმბაძის ქ. კუთხე) იმის გამო, რომ მუშა კარაპეტიანცის მიმართ დაცული არ იყო 8 საათის სამუშაო დრო, არ აღმოაჩნდა მასვე საანგარიშო წიგნაკი და არ იყო წარმოებაში შრომის დაცვის შესახებ მოქმედი დადგენილებანი და შრ. სახ. კ-ში განკარგულებით შემოღებული წიგნები.

## საკურორტო სამმართველოში

### ასსენიზაციური საქმე.

საკურორტო სამმართველოს სამეურნეო სამრეწველო განყოფილებას მიეცა 400 მილიონი მანეთი აბასთუმანში საკუთარი ასსენიზაციური საქმის მოსაწყობად

### მშენებლობით-ტეხნიკურ განყოფილებისათვის.

მშენებლობით-ტეხნიკურ განყოფილებას მიეცა 10 მილიარდი სხვა და სხვა ტეხნიკური საჭიროებისათვის (მასალის შესაძენად და მუშების დასაქირავებლად).

### მსყიდველი კომისია.

სხვა და სხვა საჭირო საქონლის ყიდვის საწარმოებლად სახ. სამ. მიერ გამომუშავებულ გეგმის მიხედვით, მოეწყო სპეციალური მსყიდველი კომისია (закупочная комиссия) რომლის შემადგენლობაში შედიან სავაჭრო-სამრეწველო ქვეგანყოფილების და საკურორტ. მთავარ სამმართველოს სათანადო განყოფილების წარმომადგენელი მუშ. და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელთან ერთად.

### საკურორტო სამმართველოს საკუთარი ტრანსპორტი.

ავადმყოფების გადასაყვანად, ტვირთების საზიდავად და სხვა აუცილებელ საჭიროებისათვის საკურორტო სამმართველომ შეიძინა 1 ტვირთმზიდი ავტომობილი, 1 სანიტარული და 1 მსუბუქი ავტომობილი.

### სასოფლო-სამეურნეო ქვეგანყოფილება.

მიეცა სასოფლო-სამეურნეო ქვეგანყოფილებას სურსათ-სანოვაგის, საზრდოს და პირუტყვთა შესაძენად და სხვა თანაბარ ღონისძიებათა მიზნით ერთი მილიარდი მანეთი.

### ბორჯომის სამეურნეო დარგების აღდგენისათვის.

საკურორტო სამმართველომ სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღძრა მიეცეს ცხრათვიან უპროცენტო სესხად ორმოცდა ათი მილიარდი მანეთი ბორჯომის სახელმწიფო მამულის სამრეწველო დარგების აღსადგენად.

### სურსათი ბორჯომ-აბასთუმანისთვის.

მთავარი საკურორტო სამმართ. მიერ ბორჯომ-აბასთუმნის რაიონის აგარაკების იაფფასიანი სურსათით უზრუნველსაყოფად შექმნილია სხვა და სხვა ძირითადი საკვები პროდუქტები.

### აგარაკი უწერა.

აგარაკი უწერა (რაჭის მაზრა), როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტი, საკურორტო სამმართველომ გადასცა რაჭის სამაზრო ალმასკომის ჯანმრთ. განყოფილებას საექსპლოატაციოთ.

### შავი ზღვის ნაპირებისა, წყალტუბოსა, ახტალასა და მანგლისის აღსადგენად.

ზემოჩამოთვლილ აგარაკების აღდგენისათვის წინასწარ მუშაობის საწარმოებლად სამმართველომ გადასდო 1 მილიარდი მანეთი.

# ქრონიკა

### ქალაქის ალმასკომში

— **ქუჩების შეკეთება.** ქალაქის ალმასკომის კომ. განყოფილება ახლო მომავალში შეუდგება ქალაქის დაზიანებულ ქუჩების შეკეთებას. პირველ რიგში შეკეთებული იქნება განაპირა უბნების ქუჩები.

— **ქუჩების სახელების შეცვლა.** თბილისის ზოგიერთ ქუჩებისათვის სახელების შეცვლის პროექტი მიიღო პრეზიდიუმმა და დაავალა სათანადო კომისიას ხელმეორედ გადასინჯოს შემუშავებული სია და შეავსოს იგი რევ. გმირების სახელებით. აგრეთვე ძველი სახელები შეინახებათ ისეთ ქუჩებს, რომლებიც რევ. თვალსაზრისით არ საჭიროებენ სახელის შეცვლას.

— **გადასახადების შემცირება.** დაარსდა კომისია, რომელსაც ევალება სასწრაფოთ შეიმუშაოს პროექტი ინვალიდებისა და მუშა მოსამსახურეებისათვის კომ. გადასახადებში შეღავათების მისანიჭებლად და გადასახადის აკრეფის საქმის მოსაწესრიგებლად.

— **სასაკლაო.** ქალაქის სასაკლაოსთან არსებული საპნის ქარხანა დღეში ამზადებს 50—60 ფუთ საპონს.

— **საალმშენებლო ტეხ. ნაწილი.** საალმ. ტეხ. ნაწილმა შეაკეთა 13 რაიონული კომისარიატი და შენობა, ვერისა და ვორონცოვის ხიდები, დამზადებულია მასალა ავლაბრის ხიდის შესაკეთებლად. ამ დღეებში დაიწყება საბჭოთა სახლების შეკეთება.

### საქართ. სასურსათო უწყებაში.

— **წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის** ა. კ. სასურსათო კომისარის საქ. რწმუნებულის სამმართველოს დადგენილებით, სატრანსპორტო ეზოს მუშები თავისუფლდებიან სამსახურიდან დაწესებულ დროის ერთი საათით ადრე წერა-კითხვის შესასწავლად.

— **ქერი მილიციას.** იმავე სამმართველოს დადგენილებით, დუშეთის მაზრაში სასურსათო გადასახადის სახით შეგროვილი ქერი გადაეცემა ფასში ადგილობრივ მილიციის სამმართველოს.

### კრებები და მოხსენებები

— **რაჭის დამხმარე კომიტეტში.** რაჭის დამხმარე კომიტეტი იწვევს 27 მაისს, დილის 12 საათზე, ქალ. ალმასკომის ბინაზე, ტფილისში მცხოვრებ რაჭველების მორიგ კრებას ზოგიერთი საკითხების განსახილველად, რომელნიც დაკავშირებულნი არიან რაჭისთვის დახმარების ფონდის შექმნასთან.

### შრომის ბირჟაში

უმუშევრები. 22 მაისს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე ამოცს და 1253 უმუშევარი, ჩაეწერა იმავე დღეს 179. გაიგზავნა სამუშაოზე 137.

### სხვა და სხვა.

— **დახმარება სანატორიუმ „არაზინდოს“.** ამიერ კავკასიის კოოპერატივთა ცენტ. კავშირის მუშა-მოსამსახურეებმა ქლექიანთა სანატორიუმ „არაზინდოს“ (აბასთუმანში) სასარგებლოდ გადასდვეს ერთი დღის ხელფასი, სულ—207,810,000 მან.

— **მუშათა დასასვენებელი სახლები მცხეთაში.** მუშათა დასასვენებელი სახლები მცხეთაში უკვე გახსნილ იქნენ. ჯერ-ჯერობით მათში ისვენებს 100 მუშა, სახლები შარშანდელთან შედარებით კარგადაა მოწყობილი—არის სასადილო და სამკითხველო, აგრეთვე მოწყობილია სავარჯიშო მოედნები, სინემატოგრაფი და სხ. სულ სახლები იტევს 200 კაცს.

— **ავტომობილების მსხვერპლი.** მილიციის ცნობების თანახმად, იანვრიდან (1923 წ.) აპრილამდე ქალაქის სხვადასხვა უბნებში ავტომობილების მიერ გასრესილ იქნა სულ 11 მოქალაქე.

### შემთხვევები.

**ბანდიტების შეპყრობა.**

— სისხლის სამართლის მილიციის რწმუნებულმა ჯარაშიძემ შეიპყრო შალვა, მიხეილი და დიმიტრი გაბუნიები და აკაკი ხვინჩია, რომელნიც ბანდიტურ მიზნებით დათარეშობდენ როგორც ქ. ტფილისში, ისე რესპუბლიკის სხვა და სხვა ადგილებში.

— შეპყრო იქნა აგრეთვე ბაღ—„მუშტაიდის“ დარაჯი ლ. ჯაფარიძე, რომელიც ზემოხსენებულ ბანდიტურ ბრბოში მონაწილეობდა. გაჩხრეკის დროს მას აღმოაჩნდა რევოლვერები და სხვა საბუთები ამ საქმის შესახებ.

**მკვლელის დაპატიმრება.**

— შეპყრობილია მე-5 უბნის მილიციონერი ბილანიშვილი, რომელმაც ღვინის შესახებ. ვინტოვკით მოკლა იაკობ და რაფიელ აჯიაშვილები.

# ხელოვნება

## სახელმწიფო ოპერა „ლოენგრინი“.

ვაგნერის „ლოენგრინმა“ ამსრულებელთა ახალი შემადგენლობით ისევ თითქმის სავსე დარბაზი მიიზიდა. ზოგიერთებს, ალბათ, ოპერის მშვენიერი დადგმა აინტერესებთ, სხვებს კიდევ ორი მთავარი პარტიის ახალი ამსრულებელნი, ლოენგრინის პარტიას ამ სალამოს მღეროდა ბაქოს ოპერის ტენორი ზვიაგინი. ამ მომღერალმა სამი თუ ოთხი წლის წინათ დაამთავრა თბილისის პირველ კონსერვატორიის კურსი პროფ. რიადნოვის სკოლაში. ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს მოქ. ზვიაგინი (ჩამომავლობით კაზაკი) დიდ იმედებს არ იძლეოდა. მისი პატარა ლირიული ტენორი არ გაირჩევა არც ხმის სილამაზით და არც დიაპანოზის სიდიდით. ზვიაგინი მუსიკალური იყო და არა მეტი. ეხლა ჩვენ მას ვხედავთ ლოენგრინის პასუხისმგებელ პარტიაში, სამწუხაროთ არაფერი არ შეეძლება მიუმატოს მსახიობის ზემოდმოყვანილ დახასიათებას. მართალია მოქ. ზვიაგინის ხმა უფრო გამაგრებულა, მასში უფრო მეტი გამბედაობაა, მომღერალი უკეთ ხმარობს თავის ხმას, მაგრამ არაფერს გამოჩენილს, ინდივიდუალურად დამთავრებულს მომღერალი არ წარმოადგენს და ლოენგრინის პარტიაში გამოსვლა ცოტა არ იყოს სახიფათოა, რადგან ეს პარტია მოითხოვს ისეთ რამეს, რაც მოქ. ზვიაგინს ნ ჭი არ სჩანს, სახელდობრ დიდხმოვანი ხმას, უფრო განიერ დიაპანოზს, უკეთეს ფრაზიროვკას და უფრო განვითარებულ ტეხნიკას.

ორტრუდას პარტიაში გამოვიდა მოქ. კარპოვა, რომელზედაც მე უკვე ვლაპარაკობდი მისი ტოსკას პარტიის შესრულების შემდეგ. ვოკალურის მხრივ მოქ. კარპოვამ დაგვანახა ევროპიული მასშტაბის მომღერალი ქალი. მისი ხმა დრამატიული სოპრანოა (ორტრუდას პარტია ვაგნერის მიერ დაწერილია mezzo soprano-სთვის, მაგრამ მას ტრანსპონიროვკით მღერიან soprano-ებიც), ფართო დიაპანოზის, ლითონის ხმოვანებით, ხმის ტეხნიკა საუცხოვოა, მუსიკალობა და ფრაზიროვკა დამთავრებული. მაგრამ მოქ. კარპოვა თუ გვიტაცებს სიმღერით, სამაგიეროთ გვღალავს თავის თამაშით. იმ პარტიების სცენიური გადმოცემა, რომელშიაც ის გამოდის—ეს განუწყვეტელი მოძრაობა და მანიპულიაციაა,—ესტიკულიაცია და მიმიკა ხშირათ სრულებით არ შეეფერება სცენის შინაარსს და უმთავრესათ არაბუნებრივობა და მუდმივათ პოზების დაჭერა, რაც უმთავრესათ თვალში ხვდება მაყურებელს. კიდევ ერთხელ უნდა აღვიშნო ივანე ფალიაშვილის მეთაურობით ორკესტრის მიერ თავის პარტიის მშვენიერათ შესრულება.

მაგალითად მშვენივრად დამუშავებულია ხმის მიმდევრობა ინტროდუქციაში და ხმოვანების თანდათანობით გაძლიერება ფინალში.

მე მოვალეობათ ვსთვლი აღვნიშნო სცენის პატარა ხშირათ უჩინარ მუშაკის მოქ. გუდიმ-ლევკოვიჩის მოღვაწეობა. მას ნამდვილი სცენის ნიჭი აქვს. სამწუხაროა, რომ ხმის საშუალებების სიმცირე საშუალებას არ აძლევს მას გახდეს გამოჩენილი ოპერის მსახიობი.

დასასრულ უნდა აღვნიშნო მარჯანიშვილის დადგმის ერთი lapsus-ი, სახელდობრ—ელზას, რომელსაც ლოენგრინის სახით უმაღლესი ძალა ეხმარება, არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია გული წაუვიდეს ეკლესიის წინ ორტრუდას ეშხის გამო, სხვაფრივ გაუგებარია მისი ნათელი რაინდის, საქმრო ლოენგრინის უმაღლესი ძალა.

მუსიკოსი.

— **ოპერის სეზონის დახურულება.** სახელმწიფო ოპერის სეზონი დასრულდება 1 ივნისს. სეზონის დამთავრების შემდეგ გაიმართება მთელი სერია სიმფონიური კონცერტების.

— **ნ. ევრეინოვი და ვასილ კამენსკი ტფილისში.** ამ დღეებში სოხუმიდან ტფილისს ჩამოვიდნენ ნ. ევრეინოვი და ვასილ კამენსკი, რომლებიც წაიკითხავენ რამოდენიმე ლექციას.

— **რეჟისორ მარგარიტოვის ბენეფისი.** დღეს სახელმწიფო პატარა თეატრში გაიმართება ტფილისში ცნობილ რეჟისორის ნ. მარგარიტოვის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება „სიყვარული 17 წელს“.

— **ს. რომანიშვილ-დგებუაძის საღამო.** დღეს, სახალხო სახლში გაიმართება სოფიო რომანიშვილ-დგებუაძის სალამო. წარმოდგენილი იქნება „უდანაშაულოთ დასჯილნი“.

# პროვინციაში

## სამტრედია

18 მაისს გაიმართა დიდი დემონსტრაცია ამხ. ვოროვსკის მკვლელობის და ინგლისის თავხედურ ნოტის საპროტესტოთ დემონსტრაციას ზღვა ხალხი დაესწრო. მონაწილეობას ღებულობდნენ მშრომელი მასსები: ქალი და კაცი, მოხუცი და ბავშვი. მიტინგი გაიხსნა ამხ. ილ. სტურუას მიერ. პირველად ილაპარაკა სამრაიპარტკომის სახელით ამხ. ვ. კვანტალიანმა, ახალგ. კომკავშირის სამრაიკომის სახელით ამხ. შ. ჩხაიძემ, რის შემდეგ რამოდენიმე წუთით შეწყდა ლაპარაკი და აქედან წავიდნენ. დემონსტრანტები ალმასკომის შენობასთან, სადაც სიტყვა წარმოსთქვა ალმასკომის სახელით ამხ. სვ. კიკაჩეიშვილმა.

მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს, რომ მშრომელთა რიგები მზად იქნება ყოველთვის იმპერიალიზმის თავდასხმის თავიდან ასაშორებლად.

ვ. ძ.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

## პარტიული

### პარტიული მუშაობის გამოკვლევა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიონული კომიტეტი იუწყება, რომ პარასკევს 25 მაისს იმ უჯრედებში, რომელშიც უნდა მოხდეს პარტიული მუშაობის გამოკვლევა, ერთიანი პარტიული დღის საკითხების ნაცვლად ადგილი უნდა დაეთმოს მხოლოთ პარტმუშაობის გამოკვლევის საკითხს. გამოკვლევა მოხდება ქვემოთ ჩამოთვლილ უჯრედებში, სადაც ამ მიზნით იგზავნებიან ამხანაგები:

1. ვართაპეტიანი—უჯრედი № 13. 2. აკოფოვი—№ 15. 3. ნაზაროვი—№ 16. 4. გინზბურგი—№17. 5. რასულ-ზადე—№ 18. 6. დივნოგორცევი—№ 19. 7. ჯანელიძე—№ 20 8, ხანოიანი—№ 21: 9. პოლის—№ 24. 10. ვაზაკიძე—№ 25. 11. ორაბელაშვილი მარიამ—№ 26. 12, იტრიევი—№ 27. 13. ფიალკოვსკი—№ 28. 14. სოკოლოვსკი—№ 29. 15. რახმანი—№ 30. 16. შავერდოვი - № 31, 17. ქორიძე—№ 32. 18. დიმანტი—№ 33 14. გურსკი—№ 34. 20. ესაიანი—№ 36 21. ქავთარაძე ლადო—№ 38. 22. კაპანაძე—№ 39. 23. პენიაკოვი—№ 41. 24, ესსენ მ.—№ 42. 25. ენგელ—№ 43.

წინადადება ეძლევა უჯრედის ყველა მდივნებს აცნობონ უჯრედების ყველა წევრებს და უჯრედებთან მიმაგრებულ ამხანაგებს გამოკვლევის დროს დასწრების აუცილებლობის შესახებ.

უჯრედების ყველა მდივნებს და პარტმუშაობის გამოსაკვლევათ გაგზავნილ ამხანაგებს წინადადება ეძლევათ ხუთშაბათს, 24 მაისს, ნაშუადღევის სრულ 2 საათზე გამოცხადდენ რაიონულ კომიტეტში თათბირზე დასასწრებათ და ინსტრუქციების მისაღებათ.

პასუხისმგებელი მდივანი: ხაცკევიჩი.

**მარქსისტული წრეების მეცადინეობის ცხრილი 21 მაისიდან 27 მაისამდე.**

— 1. კვირას, 27 მაისს, დილის 11 საათ. 1 საათამდი ამიერ-კავკ. საგანგებო კომისიის წრე. ხელმძღვანელი ლიბაბი.

— 2. კვირას, 27 მაისს 11—1 საათ. სახელმწ. უნივერსიტეტის წრე. ხელმძღვანელი ამხ. დუდუჩავა.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტაც.-საპროპაგანდო განყოფილება.

**მუშათა ცენტრალური კლუბის კალენდარი.**

— პარასკევს 25 მაისს, საკონცერტო დარბაზში ამხ. მიხაილოვის 1-ლი ლექცია: „შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაცია“.

თეატრში: „მასხარა ტახტზე“ პიესა 4 მოქ. ფ. ლოტარის. სომხურ ენაზე.

— შაბათს 26 მაისს, საკონცერტო დარბაზში: მუშათა ცენტრალურ კლუბის წევრთა საერთო კრება. გამგეობის მოხსენება: წარსულისა და მომავალ მუშაობის შესახებ. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა, დასაწყისი სალამოს 6 საათზე.

თეატრში: „მონასტრის გალავანს გარეთ“. მელოდრამა 5 მოქ. გრინინისა.

1 საბჭოთა თეატრი მ. ც. კ.

— კვირას 27 მაისს, თეატრში: „ცრუ ავადმყოფი“ კომედია 3 მოქ. მოლიერის.

1 საბჭოთა თეატრი მ. ც. კ.

# განცხადებები

გულდამწვარნი და უნუგეშონი: მამა ანდრონიკე იოსავა, დედა ნინო, დები: მარიამი, ანა, ელენე, თამარი, ბარბარე, ძმა ვასილი, სიძე ემანუილი ფორდი მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს, რომ სტამბოლში უდროვოთ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი და სანუგეშო

**გიორგი (ქორჟიკა) იოსავა**

კალოუბნის ეკლესიაში კვირას, მაისის 27, დანიშნულია სულის მოსახსენებელი წირვა 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი 12 საათზე.

გულ დათუთქული მშობლები: დედა—ანასტასია იესეს ასული მამა—მიხეილ სვიმონის ძე, დაჩაგრული და-ძმა—გიორგი და მარიამ შალიბაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ შორეულ აღმოსავლეთში ქ ნიკოლსკ-უსურიისკში ტრაღიკულათ დაღუპულ, პირველთა ძვირფასს შვილის, ხოლო მეორეთა საყვარელი ძმის ექიმ

**ოთარ (ლოსიკო) მიხეილის ძე**

**შალიბაშვილის**

სულის მოსახსენებლად, კვირას 27 მაისს დილის 9 ნახევარ საათზე კალოუბნის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი.

დღეს, 25 მაისს,

სახელმწიფო ოპერა **ბორის გოდუნოვი**

კრ. 409 1—1

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

## ტფილისის ალმასკომის საადგილ-მამულო განყოფ.

აძლევს იჯარით 1923 წლ. ხილის მოსავალს რიცხვით 1440 საადრეო საუკეთესო ხეებს: (ბალი, ალუბალი, ატამი, ჭერამი, ქლიავი, ალუჩა, მსხალი, ნუში, ლეღვი, კომში, კაკალი და სხვა), ეოფილ მანთაშევის მამულში, მდებარე ვარანცოვის ქუჩაზე № 125.

პირობების გაგება შეიძლება განყოფ. კანცელარიაში ალმასკომის შენობა, ოთახი № 52, მამულში კი მამულების გამგესთან. საჯარო ვაჭრობა დანიშნულია კვირას, 27 მაისს, 10 საათზე მამულში.

კრ. 413 3—1 საადგილ მამულო განყოფილება.

## ტფილისის დამზღვევი კასა

აცნობებს ყველა სახლის პატრონებს, სახლების გამგეებს და საბჭოთა სახლების პასუხისმგებელ პირებს, რომ

**მეეზოვეების დაზღვევის ორგანიზაციული პერიოდი დამთავრდა**

და ამიტომ წინადადება ეძლევა აღნიშნულ პირებს

**I-ლ ივნისამდე** შემოიტანონ ყველა გადასახადი, რომელიც ეკუთვნის დამზღვევ კასას.

აღნიშნული ვადის შემდეგ დარჩენილების შესახებ გამოყენებული იქნება საჯარიმო წესი სოციალურ დაზღვევის შესახებ, მასთან ერთად

**კურსის განსხვავების და ჯარიმის გადახდევინებას.**

კრ. 412 1—1 დამზღვევი კასის პრეზიდიუმი.

## ამა წლის 28 მაისიდან

**თბილისის ქალაქის სასაკლაოებზე**

(ნავთლუღში) დაიწყება **დამუშავება და გაცემა ყინულისა.** საჭიროა რომ ყინულის მიღების მსურველებმა წინდაწინვე მისცენ განცხადება სასაკლაოების დირექტორს. საჭიროა, რომ ყინულის მიღების დაწყებისას შემოტანილ იქნას სამი დღის საჭიროების ყინულის ფასი, შემდეგ კი ფასი უნდა იყოს გადახდილი ყოველ დღე ყინულის წაღებისას. პირველ რიგში დაკმაყოფილებულ იქნებიან: საავადმყოფოები, მეორე რიგში სახელმწიფო დაწესებულებანი და მესამე რიგში კერძო პირნი.

პირობების გაგება, ყინულის გაცემის შესახებ, შეიძლება მიღებულ იქნას სასაკლაოების კანტორაში (ტელ. № 17-94 და 8-66).

411 (3—2)

## საქართველოს პარტიულ-საბჭოთა პრესის ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. გაზტრესტი), რუსთაველის პროსპ. № 26. ტელეფ. № 5—48.

ივნისის თვეში გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები წინ მიტანით:

| | |
|---|---|
| საერთო ხელის მოწერა . . . . | 1.250.000 |
| კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის | 800.000 |
| ერთი ეგზემპლიარი . . . . | 50.000 |

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 1 ივნისამდის შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება. 6—2

## Центральная Контора Партийно-Советской прессы Грузии.

(бывший Газтрест), просп. Руставели № 26.

доводит до всеобщего сведения, что принимается подписка на все

**Московские и Петроградские газеты и журналы**

с доставкой на дом. Контора наладила вполне прочную и систематическую связь с Москвой и она ручается за своевременную и аккуратную доставку газет и журналов. Все газеты и журналы в розницу требовать ежедневно от газетчиков г. Тифлиса. 6—2

ელექტრონის და სინათლის

## სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

**მიხეილ გედევანიშვილის** სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობას საჭიროებენ.

საავადმყოფო აწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—9)

**ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახალხო მოსამართლე**

იწვევს სახალხო სასამართლოში გრიგოლი ანტონის ძე ჩერევანს, როგორც მოპასუხეს მის მეუღლე—ნინო ბოლესლავოვის ასულ ჩერევანის მიერ განცხადებულ საჩივარზე მათი განქორწინების შესახებ და აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნებისა არ გამოცხადდება, დანიშნული იქნება საქმე და გამოტანილი დაუსწრებელი დადგენილება.

700 1—1

**დაკარგე** ზუგდიდის რაიონული მილიციის უფროსის მიერ მოცემული პირადობის მოწმობა თადა სტეფანეს ძე მათუას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 701

**დაკარგე** განჯაში მიღებული პასპორტი არუთინ მნაცაკანის ძე ხაჩატურიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაკარგე** პირადობის მოწმობა № 25 16 მაისის 22 წ., რომელიც გაცემულია კავკასიის ბრიგადის სამხედრო კომისრის მიერ გიორგი კონსტანტინეს ძე ვასილიევის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 704 1—1

## საქართველოს ს. მ. უ. ს. ეკონომიური განყოფილება

ამით სთხოვს ყველა უწყების სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სხვა და სხვა მასალებზე ფასების ცნობების სისტემატიურ მიღებაში (საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება საალმშენებლო მუშაობის ხარჯთაღრიცხვის შესახებ. გაზეთი „რაბოჩაია პრავდა“ № 54, 1923 წ. 13 მაისი)—შემოიტანონ ეკონომიურ განყოფილებაში ერთი კვირის განმავლობაში საქონლის სიები. ცნობები ფასების შესახებ, რომელიც აუცილებელია ამა თუ იმ დაწესებულებისათვის.

კრ. 414 2—1

ეკონომიური განყოფილების თავმჯდომარე: **პრეობრაჟენსკი.**

საქართველოს [illegible]